

F-567  
1961

საქართველოს  
თავისებრი  
საბავშვო ლიტერატურის  
წიგნაკრები

1961 წ.

2



ს. თ. ს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მ თ ა მ ბ ე



19 თბილისი 61

იანვარი—თებერვალი—მარტი

№ 2 (16)

რედაქტორი: მ. მამულიაშვილი

---

**საკრედიტო კოლეგია:** ალიო აღამია, ვერიკო ანჯაფარიძე,  
თამარ ბაქრაძე, ოთარ ეგაძე, ლილი  
ლომთათიძე, შალვა მეზურიშვილი,  
ნინო შვანგირაძე

---

თეატრის სამხატვრო-სადადგმო ნაწილი

სამხატვრო-სადადგმო ნაწილი თეატრის ერთ-ერთი მძლავრი ბირთვია. მასში მრავალი პროფესიის ადამიანია გაერთიანებული. აქ შეხვედებით მხატვარსა და ბუტაფორს, გრიზიორსა და დურგალს, ელექტრო-განათებისელსა და მკერავს, რეჟისიტორს, სცენის მუშას და სხვა მრავალს.

ქართულ თეატრს ყავდა ნიჭიერი დეკორატორები, რომლებიც დიდი თავდადებათა და დაუშრეტელი ენერგიით მოღვაწეობდნენ. მაგრამ, მატერიალური ბაზის უქონლობის გამო, საჭირო შედეგებს ვერ აღწევდნენ. თეატრში არსებითად პირველმა ვალერიან სილაშინო-ერისთავმა მოჰკიდა ხელი ქართული საბჭოთა თეატრის სამხატვრო-სადადგმო ნაწილის გაუმჯობესების საქმეს და მას მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია.

ამავე საქმეს ფასდაუღებელი ამაგი დასდო ირაკლი გამრეკელმა. მან ქართულ დეკორატიულ ხელოვნებაში ჩათვა ისეთი მარცვალი, რომლის ნაყოფსაც ჩვენი თეატრი დღემდე იმკის. ამას მან გამუდმებული ძიებისა და შემოქმედებითი ვაბედულების შედეგად მიაღწია.

უდაოა, რომ რეჟისორისა და მხატვრის შთანაფთქარ ახალი ხერხებით შემოსრულებელი სჭირდება. ეს სამხატვრო-სადადგმო ნაწილის ევალუბა და ის ძიების უნარიანი უნდა იყოს. სადადგმო ნაწილი თეატრში არა მარტო საწარმოო ამოცანებს უნდა ასრულებდეს, არამედ რეჟისორსა და მხატვართან ერთად უნდა მონაწილეობდეს სპექტაკლის შექმნის დიდსა და რთულ შემოქმედებით პროცესში.

თეატრის დიდი მთავე, პროფესორი გრემისლავსკი სადადგმო ნაწილის როლის შესახებ სპექტაკლის შექმნაში ამბობდა: „მთავარი ღირსება სადადგმო ნაწილის ყველა შემოქმედებითი მუშაკისა, რომელიც ახალ დადგმას ამზადებს, იმაშია თუ რამდენად შესძლებს ამ ხნის განმავლობაში იაზროვნოს მხატვრის შთანაფთქართ და იმუშაოს მისი ხერხებით ისე, რომ ამავე დროს საკუთარი შემოქმედებითი ინციტივა არ ჩააქროს. ამ უნარის გარეშე ყოველი დადგმა ერთფეროვანი იქნება, მათ დაემჩნევათ არა მხატვრის, არამედ შემსრულებლის ანაბეჭდი. მხატვარ-ატორის შემოქმედებითი ორიგინალობა, მისი

მანერა, შემსრულებლისათვის უდავოდ სავალდებულოა“.

გარდა ანდონშელისა, სადადგმო ნაწილს ტექნოლოგიური ამოცანების გადაწყვეტაც უხდება. სადადგმო ნაწილი უნდა ცდილობდეს თავიდან აიცილოს სცენის გადატვირთვა დეკორაციებით, გვერდი აუაროს ძვირად ღირებულ მასალას და ამ გზით შეამციროს თვითბურთულება. ეს მან უნდა შესძლოს არასპექტაკლის ხარისხის დაწვეით, არამედ იაფფასიანი მასალის რაციონალურად გამოყენების საშუალებით, მაღალგემოვნებით მიღწეული იმიტაციით.

ჩვენი ეპოქა საბჭოთა თეატრალური ხელოვნისაგან მოითხოვს მაღალ პროფესიულ მხატვრულ დონეს. ამიტომ სამხატვრო-სადადგმო ნაწილის მუშაკები ვალდებული არიან მათ წინაშე დასახული ამოცანებით მაღალმხატვრულად შეასრულონ და ყოველდღიურად იზრუნონ სპექტაკლების გაუმჯობესების ხარისხის ამაღლებასა და თვითღირებულების შემცირებაზე.

სამხატვრო-სადადგმო ნაწილს უნდა ხელმძღვანელობდნენ ყოველმხრივ გათვითცნობიერებული ადამიანები, მხატვრები, რომლებიც კარგად ერკვევიან დრამატურგიის საკითხებშიც. სადადგმო ნაწილის მუშაკი ვალდებულია ყოველდღიურად იმალეობდეს სპექცილობას, იყოს დაკვირვებული და შემოქმედი გამომგონებელი. ამრიგად სადადგმო ნაწილის მუშაკების შემოქმედებითი ორიგინალობა და მხატვართან ერთად მჭიდვ ერთ-ერთ წინაპირობად სპექტაკლის წარმატებისათვის.

სპექტაკლის შექმნის შემდეგ სამხატვრო-სადადგმო ნაწილის მუშაკი ვალდებულია იყოს ყურადღებიანი, რათა ყოველი წარმოდგენა მაღალ მხატვრულ დონეზე ჩატარდეს, გაუადვილოს მსახიობს ნაწარმოების სწორად წარმართვა, ხელი შეუწყოს ნაყოფიერი შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას.

ჩვენი რესპუბლიკის თეატრების სამხატვრო-სადადგმო დარგის მუშაკები ძირითადად სწორად წარმართავენ მათზე დაკისრებულ რთულსა და საპატიო ვალდებულებას. ჩვენს თეატრალურ მხატვრებს (ს. ვირსალაძეს, ფ. ლაპიაშვილს, დ. თავაძეს, ი. სუმბათაშვილს,





ი. ასკურაფას) ხშირად იწვევენ მოაკოვ-ლენინ-გრაღის თეატრების სპექტაკლების გასაფორ-მებლადაც, მაგრამ ამ დიდ მიღწევებთან ერ-თად ჩვენი თეატრების სამხატვრო-სადადგმო-დარგი ზოგჯერ მაინც ჩამორჩება და ყოველ-თვის არ პასუხობს სპექტაკლების გაფორმების თანამედროვე მოთხოვნილებებს. ეს განსაკუ-თრებულად შეინიშნება ჩვენს რაიონულ თეატ-რებში. აღსანიშნავია ამ დარგის კადრების მომზადების დაბალი დონე.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება რესპუბლიკაში სამხატვრო-სადადგმო დარგის მუშაკების, განსაკუთრებით სცენის ტექნიკურ მომუშავეთა, კვალიფიკაციის ამაღლებაზედაც

ზრუნავს. მათთვის მიმდინარე წლის თებერ-ვალში მოეწყო მოკლე ვადიანი სემინარი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ნაყო-ფიერი გამოდგა ჩატარებული სემინარულ-პრაქტიკული მუშაობა თბილისის თეატრების საუკეთესო სპექტაკლების მაგალითზე.

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებამ და კულტურის სამინისტრომ კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ყურადღება ამ შეტად სა-ჭირო დარგისადმი და სამხატვრო-სადადგმო კულტურის აწევით ხელი შეუწყონ რესპუბ-ლიკის თეატრებში დადგმული სპექტაკლების მხატვრულ-იდეურ დონის შემდგომ ამაღ-ლებას.



### სამხატვრო-სადადგმო დარგის მუშაკთა კონსერვატორია-სემინარი

საქართველოს თეატრალური საზოგადოება, სამხატვრო-სადადგმო სექციის 1960 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, წლის მეორე ნახევარში შეუდგა სადადგმო ნაწილის მუშაკთა რესპუბლიკური სემინარის ორგანიზაციას.

მიმოწერა რუსეთის თეატრალური საზოგადოების სამხატვრო-სადადგმო სექციასთან, გენის ტექნიკის და ტექნოლოგიის ცნობილ სპეციალისტებთან და სამხატვრო თეატრის ექსპერიმენტულ ლაბორატორიასთან სემინარის კონკრეტული გეგმის შემუშავებით დასრულდა. ვათელისწინებული იქნა მისი ხასიათი და მსმენელთა შემადგენლობა. ლექტორთა უმრავლესობა უმაღლესი თეატრალური სასწავლებლის პედაგოგები იყვნენ. სემინარი დაიწყო 1961 წლის იანვრის ბოლოს.

სემინარის ამოცანას შეადგენდა გაეცნო მსმენელთათვის საბჭოთა თეატრის სიახლენი სადადგმო ტექნიკაში რუსეთისა და საქართველოს თეატრების გამოცდილებათა საფუძველზე.

სემინარის პროგრამა ითვალისწინებდა ლექციებს, თბილისის თეატრების სპექტაკლების განხილვას, სადადგმო ნაწილის სამუშაოების მუშაობის მოწინავე მეთოდების გაცნობას, ტექნიკის უახლოესი ექსპონატების ჩვენებას, აგრეთვე სინთეზურ მასალისა და პლასტიკატებზე მუშაობის ტექნოლოგიას.

სემინარის პროგრამის ხასიათმა განსაზღვრა მსმენელთა შემადგენლობა: სადადგმო ნაწილის გამგეები, მთავარი მენეჯერები, თანამშრომლები, განათებლები, მხატვარი-მეხსრულებლები და ბუტაფორები. სემინარზე მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე თეატრის დირექტორები, რეჟისორები, მხატვრები.

სემინარზე მოსკოვიდან მოწვეულნი იყვნენ ლექტორები, თეატრალური წარმოების სპეციალისტ-ტექნოლოგები.

ა) სამხატვრო თეატრის სკოლა-სტუდიის სადადგმო ფაქულტეტის დეკანი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ვ. შვერუბოვიჩი;

ბ) ამავე სკოლის უფროსი მასწავლებელი—სამხატვრო თეატრის დირექტორის ყოფილი მოადგილე ეკონომიკის და წარმოების დარგში ვ. ა. ზაივლინი;

გ) მეცნიერებათა კანდიდატი, მხატვარი ა. ბ. ნატვეივი;

დ) სამხატვრო თეატრის ექსპერიმენტული ლაბორატორიის მეცნიერ - თანამშრომელი მ. ტ. ბოგომოლოვა.

29 იანვარს, საქართველოს თეატრალური საზოგადოების შენობაში სემინარი შეუდგა მუშაობას, გამოცხადდა 62 მონაწილე. მათ შორის: კუთხისის, გორის, სოხუმის, ფოთის, მხარაძის, სტალინორის თეატრებიდან 26 მსმენელი, ხოლო ბორჯომისა და რუსთავის სახალხო თეატრებიდან 6. დანარჩენი მსმენელები იყვნენ თბილისის თეატრებიდან.

სემინარი გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების სამხატვრო-სადადგმო სექციის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ა. ვახნიანსკიმ. მან ილაპარაკა სემინარის ხასიათსა, ამოცანებსა და მუშაობის გეგმაზე.

პირველი ლექცია წაიკითხა ვ. ა. ზაივლინიმა თეატრალური წარმოების ფინანსური ორგანიზაციულ საკითხებზე, სადადგმო ნაწილის მნიშვნელოვან როლზე, მუშაობის ახალ ფორმებზე, თეატრის ხელმძღვანელობის ახალ სტრუქტურაზე (დირექტორი—თეატრის ხელმძღვანელი), მის დამოკიდებულებაზე სადადგმო ნაწილთან.

მეორე ლექცია ჩაატარა მ. ტ. ბოგომოლოვამ.

მცოდნეებზე განლაგებული იყო მრავალრიცხოვანი ახალი მასალის „სინთეტიკის და პლასტიკატის“ ექსპონატები. მათ შორის იყო შესანიშნავი ყვავილები ელას



ტური პენოპლასტიმისაგან: კენკოვანი ხალი, ნამცხვრები, ლუდის სასმისები. შემდეგ დემონსტრირებულ იქნა მაგარი პენოპლასტიმის ნაწარმი (ბუბლიკები, კიტრები, პომიდორები და სხვა). გარდა ამისა ნაჩვენებია იყო პოლიმტილენისაგან გაკეთებული ნაწარმი-ამხ. ბოგომოლოვამ დამსწრე საზოგადოებას მოუთხორო დამზადების ტექნოლოგიურ პროცესზე და მეთოთა დამდგენლებს იმ ქარხნის მისამართები, სადაც შეიძლება საჭირო მასალის დაკვეთა.

ბოგომოლოვას ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

შემდეგ ლექცია ჩაატარა ვ. ვ. შვერუბოვიჩმა. მან ილაპარაკა მაგარ და რბილ დეკორატიულ ექსპონატებზე, სხვადასხვანაირ ახალ გასაწევ დაზგებზე, ლითონის კულისებზე, უკანასკნელი გამოშვების სტანდარტულ ჰარნიტურაზე, აღნიშნა დეკორაციების დამაგვრების ახალი მეთოდი და ბოლოს დემონსტრირებულ იქნა რბილი კამერა-გუმბათის კონსტრუქცია. ამით დამთავრდა სემინარის პირველი მეცადინეობა.

ჯგუფებად დაყოფილი მსმენელები საღამოს დასწრნენ: ზ. ფალიაშვილის, რუსთაველის, მარჯანიშვილის და გრიბოედოვის სახელობის თეატრების ახალ დადგმებს.

თავისი მეორე მეცადინეობა სემინარმა განაგრძო 2 იანვარს ვ. ვ. შვერუბოვიჩის ლექციით. ლექციის ძირითადი თემა იყო სპექტაკლის ჩასახვისა და დაბადების შემოქმედებითი პროცესი, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს რეჟისორის, მხატვრის და სადადგმო ნაწილის გამგის ერთობლივი თანამშრომლობით. ვ. ვ. შვერუბოვიჩმა დაწვრილებით ილაპარაკა საბჭოთა და საზღვარგარეთის თეატრებში მიღებული გამოცდილების შესახებ. ნათელი მაგალითებით დასაშუქა სპექტაკლის შექმნის პროცესში, თვითეული მონაწილის წვლილი და თანავეტორთა ურთიერთობა. მანვე ილაპარაკა სპექტაკლურ ტექნოლოგიასა და მაკეტის შექმნაზე, მის დაცვაზე სცენაზე გადატანის დროს, მონტირებასა და ელექტრო-განათებაზე.

შესვენების შემდეგ ბ. ტ. ბოგომოლოვამ განაგრძო თავისი ლექცია ახალ მასალაზე ფუნქციონალური „კროსინის“—ემულსიასა და მასზე მუშაობის ტექნოლოგიაზე.

ლექტორმა აუდიტორიას გააცნო ბუტაფორიული მანქანების დამზადებისა, მატერიების შეღებვისა და გამდიდრების პროცესი.

31 იანვარს შესამე სემინარის მეცადინეობა მიეძღვნა ელექტრო-ტექნიკას თეატრში.

ტექნიკურ მცენიერებათა კანდიდატმა ა. ბ. მატვეიევმა, ლექციის დაწყებამდე, (4 დღით ადრე) დაათვალიერა დედაქალაქის მოწინავე თეატრები. გაეცნო თეატრის მოწყობილობას და ელექტრო-სამჭროების მუშაობას, ა. ბ. მატვეივი თეატრის მუშაკებს ადგილზევე აძლევდა მითითებებს.

ა. ბ. მატვეივის ლექციის თემა იყო სპექტაკლის ელექტრო-განათება და განათების მოწყობილობის სიახლე.

იგივე ლექტორი შეეხო საკითხებს: განათება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი სპექტაკლის ხასიათის გადამწყვეტად, მხატვრის, რეჟისორის, განათების ურთიერთ კავშირი, გაკატირება ზოგიერთი თეატრების ელექტრო-ამპრატურის განლაგება, ისაუბრა საზღვარგარეთულ ამპრატურასა და მოსკოვში გასტროლებზე მყოფი ამერიკული ოპერეტის განათებაზე, გააცნო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი—„ჰამლეტი“ განათების ანალიზი. სხვადასხვა სცენაზე სინათლის მონტირების მაგალითებით დაასრულა მან თავისი მოხსენება.

ლექციის დამთავრების შემდეგ მსმენელები დიდხანს არ დაშლილან და განაგრძობდნენ აზრთა გაცელა-გამოცვლას.

პირველ თებერვალს შედგა სემინარის მეორე მეცადინეობა, მოისმინეს 2 ლექცია თემაზე:

1. შემოქმედებითი საწარმოო პროცესის ორგანიზაცია თეატრსა და სამჭროებში,— ლექტორი გ. ა. ზაიავლინი.

2. სიახლეების სასცენო ტექნიკაში,— ლექტორი ვ. ვ. შვერუბოვიჩი.

გ. ა. ზაიავლინი ილაპარაკა დადგმის საწარმოო პროცესზე, აუცილებელი მასალების დროულად მომარაგებაზე, სამჭროების აღჭურვის საკითხებზე (მაგ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის სადურგლო სამჭრო), დეკორატიული ელემენტების სტანდარტიზაციაზე. მანვე გააშუქა სპექტაკლების ტექნიკური მომზადების საკითხი.

მოსმენილი იქნა აგრეთვე ვ. ვ. შვერუბოვიჩის საინტერესო ლექცია—„სასცენო ტექნიკის სიახლეები“.

საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის თეატრებში შემოქმედებითი მოღვაწეობის გამოცდილებაში მომხსენებელს საშუალება მის-

ცა სინენლებისათვის გაეცნო სცენისა და მისი მოწყობილობის ნრავალსაბეობანი.

გ. ვ. შვერუბოვიჩი წეჩერდა აგრეთვე ლენინგრადელი რეჯისორისა და მხატვრის აკიმოვის ახალი თეატრის პროექტზე. ლექტორნი ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რეჯისორნი და მხატვარი ყოველდღიურ მუშაობაში უნდა გაითავალისწინონ შესაძლებლობები იმ სცენისა, სადაც მათ უხდებათ ამა თუ იმ დადგმის განხორციელება.

დამთავრდა სემინარის სალექციო მუშაობა. ჩატორბული ლექციების შესაბამისად, ლექტორთა შენაღვენელობა და სამხატვრო-სადადგმო სექციის ბუროს წევრები ყოველ საღამოს განიხილავდნენ სპექტაკლებს („გორდა“, „პამლეტი“, გორის თეატრის სპექტაკლი „ზევეი“, „სახიფათო ასაკი“— გრიბოედოვის სახ. თეატრში, „ვაჟინანის სახ. თეატრის „ბაღების სიმღერა“ და სხვა).

სპექტაკლების ნახვის შემდეგ აღნიშნულ თეატრებში ტარდებოდა საუბრები დამდგმელ ჯგუფებთან.

2 თებერვალს შედგა სემინარის დასკვნითი სხდომა. ამ სხდომაზე გ. ა. ზაიავლინი ილაპარაკა საქართველოს თეატრალური საზოგადოების სამხატვრო-სადადგმო სექციის მნიშვნელობაზე.

გ. ვ. შვერუბოვიჩმა ილაპარაკა თბილისის თეატრალურ კულტურაზე. ეს ქალაქი შეადარა რა მან ლონდონს, პარიზს, ტოკიოს და აღნიშნა: „ჩვენ ამ ქალაქში ვნახეთ სპექტაკლების შესანიშნავი და თანამი მხატვრული გადაწყვეტი, რაც გვანდრევს იმის რწმენას, რომ თბილისი არის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრალური დედაქალაქთაგანი“.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სადადგმო ნაწილის განგე პ. მირველოვმა თქვა: „სემინარნი უსათუოდ დიდი სარგებლობა მოგვიტანა. ასეთი ღონისძიებანი ჩვენთვის აუცილებელია, აქ ვიძინთ ჩვენ ახალ ცოდნას, მსწენელთა სურვილია ხშირად მოეწყოს ასეთი სემინარები, ჩვენ შევიკრიბებით, რათა გამოცდილება გავუზიაროთ ერთმანეთს.“

ქუთაისის თეატრის ბუტაფორნი ბრანოვნი აღნიშნა: „ამ სემინარზე ბევრი რამ შევითვისეთ პრაქტიკული მუშაობის შედეგად, ამხანაგებთან ურთიერთ აზრების გაცვლით, მივიღეთ ციცხალი, და თუ შეიძლება იტყვას, შემოქმედებითი დამუხტვა.“

ბორჯომის სახალხო თეატრის მუშაკნი ამხ. რუბინშტეინმა აღნიშნა: „სემინარნი ჩვენს ცოდნას სისტემატიზაცია გაუკეთა, შეგვიყვანა თეატრის განვითარების უკანასკნელი ეტაპის კურსში. ჩვენ შეშველიდ უნდა ვამოიყენოთ ის ბიძგი, რომელიც მოგვეტოა ჩამოუსულმა ამხანაგებმა. მადლობელი ვართ საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა, რომელმაც ჩაატარა ასეთი კარგი სემინარი.“

საინტერესო იყო საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ა. ა. ხორავას გამოსვლა; ა. ა. ხორავამ ილაპარაკა ამ სემინარის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე და მის სწორ მიზანდასახულობაზე.

დასასრულს მიღებულ იქნა სემინარ-კონფერენციის რეზოლუცია.

რეზოლუციაში აღინიშნა თეატრების სამხატვრო-სადადგმო ნაწილის განსაკუთრებული მნიშვნელობა და როლი.

რეზოლუციამ მოუწოდა ყველა სამხატვრო-სადადგმო ნაწილის მუშაკებს უფრო ნაყოფიერი, გამოდელი ექსპერიმენტებისაკენ.

დასახელებულ იყვნენ ზოგიერთი თეატრის ხელმძღვანელები, რომლებიც არა სწორად აფასებენ სამხატვრო-სადადგმო ნაწილს, რის გამოც, მიუხედავად შესაძლებლობისა, არ ქნინან თეატრში საჭირო პირობებს სადადგმო პერსონალის ნორმალური მუშაობისათვის.

რეზოლუციაში დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი.

საქართველოს თეატრების საყურადღებოდ:

- ა) თეატრების სადადგმო ნაწილის მუშაობის მდგომარეობის განმტკიცება;
- ბ) თეატრების მატერიალური მომარაგება;

გ) თეატრების ორწლიანი პერსპექტიული გეგმის დამტკიცება (სცენისა და სამაქროების აპარატურით აღჭურვის გეგმა).

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიმართ:

ა) შემუშავდეს გრემიორების, კოსტუმოორების, ელექტრო-გამნათებლების, მხატვარ-დეკორატორების და მემანქანეების მომავალი სემინარების გეგმა.

ბ) რუსეთის თეატრალურ საზოგადოების ექსპერიმენტული ლაბორატორიის მსგავსად, მოეწყოს მოქმედი ლაბორატორია;



გ) გავრცელდეს ნოვატორების გამოცდილებანი;

დ) მოეწყოს სამხატვრო-სადადგმო ნაწილის მუშაკთა შემოქმედებითი მივლინებები;

ე) გავრცელდეს ჩატარებული სემინარის სტენოგრაფიული ანგარიში და დაეგზავნოს ის თეატრებს პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ.

მსმენელებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრე-

ზიდუმს შინაარსიანი სემინარ-კონფერენციის ჩატარებისათვის და აღნიშნეს სემინარის ორგანიზატორების საქ. თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო-შემოქმედებითი განყოფილების გამგის ნ. ი. შვანგირაძის, საზოგადოების სამხატვრო-სადადგმო სექციის თავმჯდომარის მოადგილის მ. ვახნიანსკის, სამეურნეო დარგის გამგის მ. მგელაძის და სამეცნიერო განყოფილების რეფერენტის ნ. კველიშვილის ნაყოფიერი მუშაობა.

## რ ი ს კ უ ზ ი

### ბ. მარკაზანიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი «მე, გეზია, ილიკო და ილარიონი»

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 1961 წლის 9 თებერვალს მოაწყო დისპუტი კ. მარკაზანიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლზე „მე, გეზია, ილიკო და ილარიონი“ (ინსცენირება ნ. დუმბაძისა და ვ. ლორთქიფანიძისა).

დისპუტი განსწავლავს საქ. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, მიხეილ მერველიშვილმა. მან აღნიშნა: ჩვენს საზოგადოებას კარგად მოეხსენება, თუ რა მნიშვნელობა აქვს საქ. თეატრალური საზოგადოების მიერ ამა თუ იმ სპექტაკლის განხილვას.

სპექტაკლები ხშირად იწვევენ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას. ამიტომ ჩვენი ვაღია ამ ტრიბუნლიდან ობიექტურად, პირუთვნელად ვუთხრათ ავტორს, დამდგმელს, მსახიობს, მხატვარს და კომპოზიტორს ჩვენი ქება თუ კრიტიკული შენიშვნები. ყოველივე რაც ჩვენ საქებად ან სადაოდ მიგვაჩნია. ამან უსათუოდ თავისი ნაყოფიც უნდა გამოიღოს.

შესავალი სიტყვის დამთავრების შემდეგ, თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს გიორგი ციციშვილს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სპექტაკლმა „მე გეზია, ილიკო და ილარიონი“ ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია და მძლავრი კამათის საგნად იქცა. მომხსენებლის აზრით, ეს არ არის შემთხვევითი, რადგან განსახილველი პიესისა და მისი დადგმის ავტორი, მართლაც იძლევა ბიძგს თანამედროვე ქართული თეატრისა და დრამატურგიის აქტუალურ პრობლემებზე მსჯელობისათვის, სერიოზული და პრინციპული კამათისათვის. ყოველი ახალი თეატრალური მოვლენის განხილვა კეთილგანწყობილი, ობიექტური და უკომპრომისო კრიტიკის პირობებში უნდა მიმდინარეობდეს. განხილვა უნდა იყოს არა

მარტო სამართლიანი მსჯელობის უკვე გაკეთებულის შესახებ, არამედ ერთგვარი პერსპექტივის მიმცემ-დამსახველიც და მომავალი მუშაობის გზის გამკვლევ-გამაადვილებელიც. მხოლოდ ასეთ პირობებში ექნება პრაქტიკული მნიშვნელობა და სარგებლობა თეატრალურ საზოგადოებაში სპექტაკლების განხილვის იმ კარგ პრაქტიკას, რომელიც უკანასკნელ წლებში ტრადიციად იქცა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მისი მოხსენება ვერ იქნება ყოველმხრივი და ვერც ამომწურავი; იგი უპირატესად, შეეცდება დისპუტისათვის საკამათო საკავანძო საკითხების წინ წამოწვევას მათი გადაწყვეტის გზებისა და პრინციპების შერჩევას, სოციალისტური რეალიზმის სახელმძღვანელო მოთხოვნებისა და თანამედროვეობის მიერ საბჭოთა თეატრალური ხელოვნების წინაშე დასმული ამოცანების ასმექტში.

განსახილველი სპექტაკლის წყაროს—თქვა მომხსენებელმა—მწერალ ნ. დუმბაძის იმავსახელიანი იუმორისტული მოთხრობა წარმოადგენს. ნ. დუმბაძის ლიტერატურულ დებიუტს ქართული მკითხველი საზოგადოებრიობა დიდი სიმპატიით შეხვდა, რადგან ავტორში ხალხის მხატვრული ნიჭისა და იმედიანი იუმორის მქონე მწერალი დაინახა. მიხეილი თვალი, ხასიათების ძერწვის სანაქებო უნარი, ცოცხალი თხრობა, სხარტი ენა, მოვლენათა ძალდაუტანებელი განვითარება ნ. დუმბაძის ამ ნაწარმოებს ქართული იუმორისტული ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად აქცევს. პიესა ამ მოთხრობის ინსცენირებაა, (ავტორები ნ. დუმბაძე და ვ. ლორთქიფანიძე). ინსცენირება—ამბობს მომხსენებელი—არაა ჩვენი დრამატურგიის ძირითადი გზა, მაგრამ იგი რეპერტუარის გამდიდრებაა—გამრავალფეროვნების ნაცადი საშუალებაა



და არ არის გამართლებული ის მტრული, გამიცხადი დამოკიდებულება, რომელსაც ზოგიერთნი ჩვენში ინსცენირებისადმი იჩენენ და ინსცენირებას კანონ გარეშე აცხადებენ.

ინსცენირება, ე. ი. ებიური ნაწარმოების დრამატურგიაში გადაყვანა, დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული. ერთ ქანრიდან მეორეში გადასვლა უმტიფინელოდ არასოდეს არ ხერხდება. ამჯერადაც (როგორც უმრავლეს შემთხვევაში ხდება ხოლმე), დრამატურგიული ნიმუში (პიესა), მის პირველწყაროზე (მოთხრობაზე) მხატვრულად უფრო სუსტი გამოდგა. მაგრამ, მიუხედავად მხატვრულ-დრამატურგიული დაუსვეწაობისა და ხარვეზიანობისა (მაორგანიზებელი იდეური მიზანდასახულების შესუსტებულობა, კომპოზიციური შეუკვრელობა, დეტალების ჰიპერტროფია და სხვ.), რომელთა გამოცეც პიესა გვევლინება არა სრულფასოვან მხატვრულ-ლიტერატურულ ნიმუშად, არამედ ერთგვარ „ლიბრეტოდ“ (საშუალოდღო ფორმად მოთხრობასა და სპექტაკლს შორის),—მის საფუძველზე შექმნილი სპექტაკლი უაღრესად საინტერესო, მიმზიდველი და ფრიალ საგულიანმო გამოდგა. ამის მიზეზი ისაა, რომ დუმბაძის ნაწარმოებში მდიდარია ცხოვრებისეული შინაარსი, „ტყევათ“ ამბებით, სიმბოლიკით, ლირიზმითა და ცოცხალი, მართალი ხასიათებით. მასში ცხოვრება დახატულია დიდი უშუალოებით, გულწრფელი შინაგანი განცდით და სითბოთი, საოცარი ნიუანსირებით. იგი კარგად გვიჩვენებს რიგითი საბჭოთა ადამიანის შინაგან სიწმინდესა და კეთილშობილებას. სწორედ ამ იდეურ პათოსში, საბჭოთა ჰუმანიზმის, ჩვენი ხალხის სულიერი სიღამაზის მხატვრულ ცხადყოფაში მდგომარეობს პიესისა და სპექტაკლის გამარჯვების მთავარი მიზეზი. მართალია, მოთხრობის მრავალი ღირსშესანიშნავი ფრაგმენტი პიესის გარეშე დარჩა, ზოგსაც სოციალური მოტივირება შესუსტდა (მაგალითად, მოთხრობასთან შედარებით ნაკლებ მკაფიოდ მოჩანს მთავარი მოქმედი პირების ილიკოსა და ილარიონის საზოგადოებრივ - სოციალური პროფილი მათი როლი და ადგილი ცხოვრებაში), მაგრამ ის, რაც პიესად იქნა გადაღლებული, საკმარისი აღმოჩნდა, იმისათვის, რომ ამ ნაწარმოების საფუძველზე შექმნილი სპექტაკლი ჩვენს დღევანდლობის დადებით და საყურადღებო მოვლენად ქცეულიყო.

რაც შეეხება თვით სპექტაკლს — მომხსენებელმა—თამამად შეიძლება თქვას, რომ ეს არის ჭეშმარიტი იუმორით აღსავსე, ნამდვილად მომხიბვლელი და სცენიურად მიმზიდველი სპექტაკლი, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის ნიჭიერი კოლექტივის შესაფერის სიმაღლეზე დგას და როგორც დამდგმელი კოლექტივის, ისე შემსრულებელთა ანსამბლის ნიჭიერებასა და პროფესიონალურ ისტატობაზე მეტყველებს.

რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ, თანამედროვეობისადმი მიძღვნილი არა ერთი ორიგინალური ქართული კარგი პიესა დადგა სცენაზე. მან ამჯერადაც დამაბული შემოქმედებითი მუშაობა გასწავა და მაღალმხატვრული სპექტაკლი შექმნა. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა რეჟისორული მუშაობის მრავალ მხარეზე, გაარჩია სახეთა რეჟისორული გააზრება, მათი აქტიორისეული ინტერპრეტაცია, მიზანსცენების ხასიათი და აღნიშნა, რომ სპექტაკლში კარგად არის მონახული პიესის განისაზღვრის თეატრალური ფორმა (რაც არ იყო ადვილი ამოცანა), კარგადაა შერჩეული რიტმი, იგრძინება დიდი შინაგანი სითბო და ინტიმურობა და განსაკუთრებით კარგად არის გათამაშებული დიდი ქვეტექსტის მქონე დეტალები. მომხსენებელმა მაღალი შეფასება მისცა მხატვრულში ჩაჯდომისა და მგზავრობის სცენებს, სკოლის სცენას, ბებიას სიკვდილის სცენას, ილარიონის ქალაქიდან დაბრუნებასა და ილიკოსთან შეხვედრის სცენას და სხვა. მან აღნიშნა, რომ სპექტაკლში ხშირადაა გამოყენებული გროტესკი, მაგრამ დროულად და ზომიერად.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო თვითველი შემსრულებლის სამსახიობო ისტატობის და ხასიათების გააზრების სისწორეს. მან განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა ს. თაყაიშვილის მიერ განსახიერებულ ბებიას სახეს. ეს არის ერთი უბრალო-ნეალებული ხასიათი შექმნილი უკანასკნელ ხანს ქართულ თეატრში, საოცრად დახვეწილი, საოცრად მართალი ადამიანური ხასიათი, რომელიც გვიპყრობს უდიდესი შინაგან „სიღრმით და მხატვრული სრულქმნით.“—თქვა მომხსენებელმა. მან მაღალი შეფასება მისცა ან. ჟორჯოლიანის და გრ. კოსტავას მიერ დიდი ბუნებრივობით, სისხდად და შთამბეჭდაობით გამოიქრწილ სცენიურ სახეებს. მათ სიმაღლეზე დგას ვ. ნინუას თამაზიც. მაღალ



შეფასებას იმსახურებს მთავარი როლის შემსრულებელი ახალგაზრდა მსახიობი ლ. ანთაძე, რომელმაც კარგად გაართვა თავი ძნელ ამოცანას.

მომხსენებელი დაწვრილებით შეესო ებიზოდური როლების შემსრულებლებსაც და ქებით მოიხსენია მსახიობები ტ. საყვარელიძე, ლ. საყვარელიძე, ალ. სიხარულიძე, ი. ბოკუჩავა, ზ. ლებანიძე, გ. გოგუა, დ. ქუთათელიძე, თ. მისურაძე, პ. ნიჭიერველი, გ. გოციონელი და სხვანი. ამ სპექტაკლში—თქვა მომხსენებელმა—ახალგაზრდობა გვერდში ამოუდგა სცენის ვეტერანებს და ტოლი არ დაულო მათ.

მომხსენებელმა გააკრიტიკა სპექტაკლის მხატვრული გაფორმება (მხატვარი თ. ლითანიშვილი) ისეთ ღატაკ ბუნებასა და მიწის ფონზე, როგორც მხატვარმა წარმოგვიდგინა, ვერ ჩამოყალიბდებოდნენ ესოდენ ცოცხალი, დინამიკური ნაპერწყლიანი თუმორით, დაჯილდოებული და ლამაზი სულიერი სამყაროს მქონე ადამიანები—მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ასეთი აღრევა კონტრასტული სტილებისა (უკიდურესი პირობითობა და ნატურალისტური დეტალიზაცია) ვნებს სპექტაკლის მხატვრულ მთლიანობას და უგემოვნებაში გადადის. რაც შეეხება მუსიკალურ გაფორმებას—თქვა მომხსენებელმა—მე მიმაჩნია, რომ სპექტაკლში რადიო მეტად გადაქარბებულად არის გამოყენებული.

საბოლოოდ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სპექტაკლი „მე, ბებია, ილიკო და ილიარიონი“ გამაირჩევა დიდი ექსპრესიით, შთაბეჭდობით, მაღალი პიროვნისონალური შესრულებით, ამასთან დიდი უშუალოობითა და სცენიური მიმზიდველობით. ეს მაღალი ჰუმანიზმით გაჯენითი წარმოდგენა ქვემართად დადებითი და მისასალმებელი მოვლენაა ჩვენს თანამედროვე თეატრალურ ცხოვრებაში.

ვრცელი და საინტერესო მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. მასში მონაწილეობა მიიღეს: კრიტიკოსმა ვ. მარგველაშვილმა, პროფესორმა პ. ბერაძემ, მწერალმა ვ. ზამბახიძემ, თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძემ.

გ. მარგველაშვილმა თქვა: „როდესაც მე ვუყურებდი ამ სპექტაკლს (სამჯერ ვნახე), მე შევეცადე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო,

დამეწყებოდა, რომ მე ვარ კარგი, თუ ვერა კრიტიკოსი. მინდოდა ვყოფილიყავი უშუალო მაყურებელი, —ის, ვისთვისაც იდგმება სპექტაკლი. და აი, ამ უშუალო მაყურებელს სპექტაკლმა არა მარტო ესთეტიკური სიამოვნება მომანიჭა და ზნეობრძვად აღმზარდა, არამედ დამაფიქრა კიდევ ქართულ პატრიოტულ იდეურობის ახალ მიღწევაზე და ახალ შესაძლებლობებზე. მე ამის გამო დამჭირდა ქართული დრამატურგიის, ქართული პროზის 30 წლების მანძილზე შექმნილი ნაწარმოებები ხელახლად გადამეფურცლა, რამაც დამარწმუნა, რომ ზოგი ისეთი ნაწარმოები, რომელიც არ იყო აღიარებული გენერალურ, მიცენტრალურ ხაზზე მდგარად, საბოლოოდ აღმოჩნდა სიციცხლის უნარიანი იდეურობისა და პარტიულობის საკითხებზე პასუხის გამცემნი.

მრავალნაირი არის ის შესაძლებლობები, რომლებშიც ჩვენს იდეურობას, ჩვენს მსოფლმხედველობას აძლევს საშუალებას ლიტერატურის ფორმაში იყოს დამკვიდრებული და თუ ჩვენ რაიმე ხაზით ძიება კიდევ გვჭირდება, ვაყვეთ იმ ხაზს, რომელიც ამ სპექტაკლის შემქმნელებმა აირჩიეს.

რა ვაკეთეს მათ? აიღეს თითქოსდა მეტად ტრადიციული ქართული ლიტერატურისათვის, უკვე XIX საუკუნიდან ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ჟანრი ყოფითი კომედია. შეგნებულად აიღეს თეფლირივი, სიტუაციები, დეტალები, ნაცნობი ხასიათებისა და ჩვენთვის აბსოლუტურ ნაცნობ ყოფით გადამღერების ამბავში შეიტანეს ახალი სული. ჰუმანიზმის, მოქალაქეობრიობის, ადამიანური სოლიდარობის, ანხანაგობის, მეგობრობის, პატიოსნების, სიწმინდის, ე. ი. ყველაფერი ზოგადკაცობრიული ამბავი, რომლის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს ჩვენი მოქალაქეობრიობა და კომუნისტური იდეურობა.

ვასრულებ რა ჩემს გამოსვლას, მინდა ერთხელ კიდევ გავიმეორო: გარდა საინტერესო მიზანსწრაფვისა, სპექტაკლს გააჩნია მაღალი თეატრალური კულტურა, სპექტაკლი ნამდვილად არის მისასალმებელი და მისაზაძი მოვლენა“.

პ. ბერაძე ამბობს: „საოცრად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს თვალის დაკარგვის

გათამაშების სცენა. მურადას პანაშვიდი სიყვარულის ნათელში არის წარმოდგენილი. თუ მაყურებელს მოსწონს და დიდი გატაცებით ნახულობს ამ სპექტაკლს, ეს აიხსნება იმ დედაშვილობის გრძნობით, რომელიც აშუქებს ამ პიესას და სითბოს ავრცელებს მთელს აუდიტორიაში“.

ვ. ზამბახიძე აღნიშნავს: „ამ სპექტაკლს აღმზრდელითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ახალგაზრდობისათვის. როგორც თქვენ, ისე მეც და ყოველი ჩვენთაგანი ყოველდღიური შრომით დაკავშირებულია ახალგაზრდობასთან. ეს არის აბსოლუტურად შესანიშნავი ახალგაზრდობა, პატრიოტული გრძნობით გამჭვალული, სიცოცხლის მქონე, მჩქეფარე, კულტურული ახალგაზრდობა, მაგრამ მაინც ახალგაზრდობა, ისინი ჩამოუყალიბებელნი არიან, რომელთაც რაღაც ბიძგის მიცემა ესაჭიროებათ. ზოგჯერ მათ მშვიდ ცხოვრებას არ ღვევს სიყვარული. სიყვარული არის ის დიდი ძალა, რომელიც კაცს კაცად აქცევს, აკეთილშობილებს, ეს არის დედაბოძი ამ სპექტაკლისა. ამ სიყვარულს მიჰყავს სპექტაკლი, ამ სიყვარულის გამო გვიყვარს ჩვენ ამ სპექტაკლში ჩაბმული მომქმედი ადამიანები“.

ნინო შენგერიძე ლაპარაკობს: „მარჯანი-შვილის სახ. თეატრი სწორად მოიქცა, როცა ამ მოთხრობის სცენიდან ჩვენება განიზრახა, თუ გნებავთ იმიტომაც კი, რომ ამ თეატრის რეჟისორული და აქტიორული შემადგენლობის პროფესიული თავისებურებანი სავსებით შესაფერისია მოცემული ნაწარმოების სტილისათვის.“

დისპუტის დასასრულს, რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ ნაღობა გადაუხადა იმ პირობით, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სპექტაკლის განხილვაში და დასძინა:

„ადამიანთა ერთმანეთისადმი სიყვარული, მეგობრობის გრძნობა არის ამ ნაწარმოებში გატარებული და ჩვენ სწორედ ამ აზრის მოტანა გვინდოდა მაყურებელამდე, და თუ ეს ოდნავ მაინც კი შეეძლია, ჩვენი მიზანი მიღწეულად მიგვაჩნია“.

დასასრულს მოთხრობის ავტორი და ინსცენირების თანაავტორი მწერალი-იუმორისტი ნოდარ დუმბაძე თეატრალურ საზოგადოებას ნაღობას უხდის სასარგებლო დისპუტის ჩატარებისათვის.

სამწუხაროა, რომ რიგით სპექტაკლებს საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე ვტოვებთ. კრიტიკული შეფასების გარეშე გვრჩება თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი მხარეები, როგორცაა, — სპექტაკლების შენახვა თავისი პირველქმნილი ფორმით, წარმოდგენის ე. წ. ახალგაზრდობის შენარჩუნება და დაცვა, დუბლიორთა შემსრულებლობის შემოწმება.

ცოტა როდი ვიცით შემთხვევა, როცა პრემიერიდან რამოდენიმე დღის შემდეგ მსახიობები უხალისოდ, შემოქმედებითი ინტერესის გარეშე, ეკიდებიან როლის განსახიერებას, როცა დამდგმელი რეჟისორი არ ამოწმებს თავისი ნამუშევრის ხარისხს სპექტაკლიდან სპექტაკლამდე, როცა იგი ადვილად ეგუება საპასუხისმგებლო როლზე შემთხვევით დანიშნულ მსახიობის შეყვანას და სხვა.

რიგით სპექტაკლების მხატვრულ ხარისხზე კონტროლის უგულვებელყოფას უფრო მეტ სავალალო შედეგებამდე მივყვართ; არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა, «იმპროვიზაციული ინისი» წყალობით, მსახიობი მთლიანად ცვლის დადგენილ მიზანსცენებს, უმატებს ტექსტს და სახის სრულიად განსხვავებულ «ინტერპრეტაციას» იძლევა. სამწუხაროდ ეს ფაქტი უმეტეს ნაწილად გამოიწვეულია, არა მსახიობის მუდმივი, დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიებით, არამედ მაყურებლისათვის თავის მოწონების სურვილით. მსახიობში ეს ცდუნება იმდენად ძლიერია, რომ ზოგჯერ იგი ყოველგვარ საზღვრებს სცილდება და უხამსობაში გადადის; შესრულებაში იჭრება უგემოვნო, იაფფასიანი ხერხი, კლოუნადური ელემენტი და სხვ.

დადგმის რამდენიმეჯერ ჩვენების შემდეგ ხშირად სრულიად დამოკიდებული მასიური სცენები, იკარგება ხალხური სული. ეს იმის გამო ხდება, რომ მსახიობები, თუ თანამშრომლები, არ გრძნობენ პასუხისმგებლობას.

არის სპექტაკლები, რომელთა მხატვრული სახე და მომხიბლობა მასიური სცენებია, მაგრამ, როგორც წესი, ასეთი პიესების მხატვრული მხარეც არაა სტაბილური.

ამ სავალალო მდგომარეობას მოვლას სჭირდება. ჩანს, მარტო თეატრის დირექცია, რეჟისურა და სამხატვრო საბჭოს წევრის სპექტაკლის მორიგედ დანიშვნა არ შეეღობა საჭიროა ქმედითი საზოგადოებრივი ღონისძიებების გატარება.

თვალისწინებდა რა ამას, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა ჯერ კიდევ რამოდენიმე წლის წინათ დაავალა ახლად შექმნილ ახალგაზრდა თეატრმკოდნეობის სექციას, თეატრების შემოქმედებითი ცხოვრების ეს მხარე ექცია ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად.

სექციამ, რომელსაც იმ ხანად შ. სალუქვაძე თავმჯდომარეობდა, მოაწყო განხილვა თემაზე: «ერთი დღე თბილისის თეატრებში». აღნიშნულმა ღონისძიებამ დიდი ინტერესი გამოიწვია და პრესის ფურცლებზეც პოვა გამოხმაურება. არა ერთი საგულისხმო შენიშვნა იქნა გაკეთებული არა ერთი და ორი სასარგებლო წინადადებები შემოიტანეს მომხსენებლებმა თბილისის თეატრებში რიგითი სპექტაკლის ჩვენების ხარისხის ამაღლებისა და გაუმჯობესებისათვის. მაშინ ერთხმად იქნა აღიარებული, რომ საჭიროა მუშაობის გაგრძელება და გაფართოება ამ მიმართულებით, მაგრამ ეს კარგი ინიციატივა, რატომღაც, მიგონებული იქნა, თუმცა არა საბოლოოდ. აქ. 26 მარტს თბილისის თეატრალური საზოგადოებრიობა კვლავ შეიკრიბა ხელოვნების მუშაკთა სახლში. აქ იყვნენ: თეატრის დირექტორები, რეჟისორები, მსახიობები, თეატრმკოდნეები, მუსიკისმკოდნეები და სხვ. ამჯერად უკვე კრიტიკისა და

თეატრმცოდნეობის სექცია იხილავდა თბილისის თეატრებში რიგით სპექტაკლების ხარისხს ერთი დღის შემოწმების მიხედვით. საბოლოო თავმჯდომარეობდა თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის პეპე. მდივანი დ. ჩხეიძე, რომელმაც დამსწრეთ მოკლეთ მოუთხოო სხდომის მიხენებზე, ამოცანებზე და მოხსენებისათვის სიტყვა მისცა თეატრალური საზოგადოების კრიტიკისა და თეატრმცოდნეობის სექციის თავმჯდომარეს დ. ჯანელიძეს.

თეატრის შემოქმედებითი უნარის ერთ-ერთი საზომი,—თქვა მან,—არის ის, თუ როგორ იცავს თავის მხატვრულ ღირებულებას, როგორ ინარჩუნებს ერთხელ მოპოვებულ წარმატებებს. სწორედ ამ საკითხზე უნდა გამახვილონ ყურადღება მომხსენებლებმა, დ. ჯანელიძის თქმით, რიგითი სპექტაკლები მოკლებული არიან საზოგადოებრივ ყურადღებას, ისინი არ პოულობენ სათანადო ასახვასა და გამოხმაურებას პრესის ფურცლებზე, შეფასების გარეშე რჩება განახლებული დღეებში, დუბლიორთა თამაში და სხვ.

ეს დიდი ნაკლია და დღევანდელი შეკრება ამ ხარვეზების შევსებას ისახავს მიზნად.

დედაქალაქის თეატრალური ცხოვრების ერთი ჩვეულებრივი დღის შემოწმებამ,—აღნიშნა მან დასასრულს,—ბევრ საგულისხმო და სასარგებლო დასკვნებამდე უნდა მივვიყვანოს, მან ერთხელ კიდევ უნდა დავგარწმუნოს, თუ რაოდენ აუცილებლობას წარმოადგენს მუდმივი საზოგადოებრივი ყურადღების გარემოცვა ჩვენი თეატრებისათვის.

პირველ სხდომაზე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლ „ჩიო-ჩიო-სანის“ გარშემო სიტყვივით გამოვიღარეყის ორი მ. გიჟიმეკრელი.

მის ძირითადში დადებითად შეაფასა 25 მარტს თეატრის მიერ წარმოდგენილი რიგითი სპექტაკლის ჩვენების კულტურა, მისი ტექნიკურ-შემოქმედებითი მხარე; ილაპარაკა მხატვრის, დირიჟორისა და სოლისტების სათანადო საშემსრულებლო ოსტატობაზე და აღნიშნა, რომ სპექტაკლი დათვალთვლების დღეს მწყობრად, შემოქმედებითი გზნებითა და ყოველგვარი შეფერხებების გარეშე მიდიოდა.

მომხსენებელმა გულისწყრომით ილაპარაკა სხვა შემთხვევაში შემჩნეულ შეუსაბამობაზე: ქართულ თეატრში ზოგჯერ რუსულ ენაზე სრულდება საგუნდო სიმღერები და საერთოდ მთლიანად ოპერა.

ეს არ არის სწორი,—თქვა მან. უფრო ისეთ შემთხვევის დროს, როცა სცენაზე იტალიურ ოპერას უჩვენებენ.

მომხსენებელი კრიტიკულად შეეხო მსახიობთა დაქციის საკითხს, განსაკუთრებით კი საგუნდო სიმღერებში მონაწილე მსახიობების არამკაფიო მეტყველებას.

დასასრულს მან შემოიტანა წინადადება, რომ პროგრამაში, სადაც ოპერის ლიბრეტოს ანოტაციაა გადმოცემული, მოთავსებულიყო სპექტაკლის დადგმის მოკლე ისტორია.

მთელი რიგი ოპერებისა,—სთქვა მან,—პირველად განხორციელდა თბილისის ოპერის სცენაზე, ვიდრე პეტერბურგში და სხვაგან. ამის ცოდნა კი მაყურებლისათვის არ იქნებოდა ურიგო. ამით ჩვენ ვავზრდით ინტერესს და შემოვიკრებთ თეატრის გარშემო საოპერო ხელოვნების გულშემატივართ, პატრიოტ მაყურებლებს.

კ. მარჯანიშვილის თეატრის რიგითი სპექტაკლის—ა. აღბაძის „მღელვარე დღეების“ შესახებ ილაპარაკა თეატრმცოდნე ვ. კიკნაძემ.

მისი აზრით, კარგი და აუცილებელიც იყო თეატრალური საზოგადოებას ისეთი დღე შეერჩია, როცა მომხსენებლები მოხდებოდნენ ძველ სპექტაკლებზე. ასეთ შემთხვევაში,—სთქვა მან,—სალაპარაკო და საპრეტენზიო ბევრი გვექნებოდა თეატრების მიმართ და ჩვენი გამოსვლებიც უფრო საქმიანი და კრიტიკული აღმოჩნდებოდა. ეხლა კი კრიტიკული მხარე ჩვენი გამოსვლებისა შენელებულია და სათქმელიც იმდენი არაფერია.

მიუხედავად მსგავსი განცხადებისა, მომხსენებელი იწონებს საერთოდ სპექტაკლის ჩვენების შემოქმედებით და ტექნიკურ მხარეს; იქვე ვრცელ და საქმიან შენიშვნებს აკეთებს იმავე სპექტაკლის თაობაზე. არ არის სწორი,—თქვა მან,—როცა ნაჩქარევად, ორი-სამი რეპეტიციით საპასუხისმგებლო როლის შესრულებას ვანდობთ ახალგაზრდა მსახიობს და შეგვყავს იგი მზა სპექტაკლში. ეს ბევრ უხერხულობას ქმნის და წარმოდგენის სახიანოდ მოქმედებს. მაგალითისათვის იგი ასახელებს თ. ა. ჩხეიძეს, რომელიც იმ დღეს მაქსის როლს თამაშობდა და ბევრი რამე კონდა დაუზუსტებელი (ტექსტი, სცენაზე შემოსვლის ან გასვლის რეალიკები და სხვ.). უმნიშვნელო, მაგრამ მაინც შესამჩნევი იყო განათების, ფარდის დახურვის ზოგიერთი ხარვეზები. ძირითადად

კი,—სთქვა მან,—წარმოდგენა დათვლიერების დღეს ნორმალურად ჩატარდა და არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს არ ქონია ადგილი.

რუსთაველის თეატრში 25 მარტს ნაჩვენებია დ. ვაჭიშვილის „ბახტრიონის“ შესახებ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა თეატრმცოდნე ნ. გურაბანიძე.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ არსებით მხატვრულ ღირსებებზე, რომლებიც აღნიშნულ სპექტაკლს ვაჩინა. იგი შეეხო ამ სპექტაკლის სადადგმო, მხატვრულ, მუსიკალურ და აქტიორული შესრულების საერთოდონეს და აღნიშნა, რომ რაც უფრო სერიოზულია მონაპოვარი, იმდენად მეტია პასუხისმგებლობა ერთხელ მოპოვებულის შესანარჩუნებლად.

ნ. გურაბანიძემ აქ კრიტიკულად ილაპარაკა იმ დღეს რუსთაველის თეატრის სპექტაკლში შემჩნეულ დეფექტებზე, რომელთაც ზოგჯერ კუროიზის ხასიათი ჰქონდა. ასეთად მან დაასახელა: ფშავლთ სახმობლად კვირიას მიერ ზარის შემოკვრა, რომელსაც ხმა არ გამოუტყა, ასევე—უხმოდ თოფის გავარდნა.

მანვე შენიშნა მსახიობების: ს. ზაქარიასძისა და მ. ჩიხლაძის მუშაობაზე. პირველს უსაყვედურა ქადაგის ეპიკურ, მონუმენტურ სახეში ყოფითი დეტალების შემოტანა, რაც, მისი აზრით, შეუთავსებელია როლის ხასიათთან, ხოლო მეორეს სულთა ხმობის სცენაში მოუზომელი, ხმამაღალი შეძახილი, რამაც დაარღვია მოცემული სცენის ატმოსფერო და საერთო ინტიმური განწყობილება.

მეტად სასიხარულო და მისასალმებელია ტრადიცია, რომელიც დაამკვიდრა გრიბოედოვის თეატრმა ქართველ დრამატურგებთან თანამშრომლობაში.—თქვა გრიბოედოვის თეატრის ახალი დიდგმის ო. ჩიჯავაძის „ბედნიერი ხელმოცარული“ საკითხზე გამოსულმა მომხსენებელმა ნ. შალუტაშვილმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თეატრის დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც ის იჩენს თანამედროვეობის ამსახველი პიესების დასადგმელად. ამ საქმეს თეატრი ყოველთვის საუკეთესო შემოქმედებით ძალეობს ახმარს და სასიხარულო შედეგებსაც აღწევს. დიდი ხნის ზრუნვების შემდეგ კვლავ ახალი, საინტერესო შემოქმედებითი სახით წარმოდგა ჩვენს წინაშე რეჟისორი რუბინი.

აღნიშნულ დღის დადგამი,—მომხსენებლის თქმით.—უდაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ 25 მარტი გრიბოედოვის თეატრში პრემიერის დღე იყო, სპექტაკლში სერიოზულ ხარვეზებს არ ქონია ადგილი, იგი მწყობრი და აღმაფალი რიტმით მიდიოდა.

დასასრულს იგი ჩერდება მაყურებლისათვის შეუშინეველ უმნიშვნელო ხარვეზებზე, რომელიც მისთვის იყო შესამჩნევი გრიმის, მსახ. გომიზილის მიერ ტექსტის წარმოთქმის და ჩრდილის გამოყენების საქმეში.

სომხური დრამის თეატრში ა. აბშილავას პიესის „ადამიანი დაბრუნდა“-ს შესახებ სხდომაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა მწერალი ს. აფიანი.

დათვლიერებას,—განაცხადა მან,—ისე, როგორც გრიბოედოვის თეატრში,—დაემთხვა პრემიერის დღე. ამიტომაც არ შემიძლია არ ვთქვა ორიოდ სიტყვა პიესის თაობაზე. მით უფრო, რომ ა. აბშილავას პიესა ქართველი მაყურებლისათვის უცნობია. ასეთი განცხადების შემდეგ მომხსენებელი მოკლედ ახასიათებს იდეურ-თემატურ მხარეს, მის მხატვრულ სცენურ ღირსებებს და მათ დადებითად აფასებს.

იგი იწონებს პიესის სცენურ გაზრებას, ვრცლად ლაპარაკობს ნაწარმოების რეჟისორულ გადაწყვეტაზე. ასევე მოწონებით ჩერდება ცალკეული მსახიობებისა და განსაკუთრებით მხატვრის ნაშუუგვარზე.

შენიშვნის სახით იგი ჩერდება მეორე მოქმედების მეოთხე სურათზე, სადაც სცენა მთლიანად ჩაბნელებულია და მაყურებელს უჭირს მსახიობის სახის მიმოიკისა და მნიშვნელოვანი დეტალების გარჩევა. თუ მოქმედების მიხედვით ღამეა, ეს იმას როდი ნიშნავს,—თქვა მან,—რომ სცენაზე წყვდიადი გავამეფოთ. ამ საქმეში ისე, როგორც სხვაგან, სცენურ პირობითობას უნდა მივმართოთ.

სხდომის თავჯდომარე ვ. აბაშიძის მუსიკალური კომედიის თეატრის გარშემო მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს ნ. ელიაშვილს.

მომხსენებელი პარალელს ავლებს 1956 წელს დადგმულ მილორავას ოპერეტასა და





1961 წ. 25 მარტს ნანახ რიგით სპექტაკლს შორის და აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ხანგრძლივი დროისა, სპექტაკლი არაფრით არ შეღახულა, რომ, პირიქით, მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ეტყობა ორქესტრისა და გუნდის ჟღერაობას. ახლად გამოიყურება როგორც კოსტუმები, ისე დეკორაციული კონსტრუქციები, პავილიონის ტიპის დანადგარები და სხვა.

ორატორის ფიქრით, აღნიშნულ დღეს წარმოდგენა მოდუნებული რიტმით მიდიოდა. ამის გამოწვევს მიზეზად იგი ასახელებს მაყურებელთა მცირე აუდიტორიას, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, ეს მაინც ვერ ამართლებს თეატრს. რომელიც ვალდებულია პროფესიული პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს საქმეს, მუდამ ზრუნავდეს თეატრის მხატვრულ რეპუტაციაზე.

მომხსენებელი კონკრეტულად შენიშნავს პირველ მოქმედების პირველ სურათში მასიურ სცენებში მონაწილე მსახიობების შესახებ, რომლებმაც სუსტად ჩაატარეს აღნიშნულ დღეს თელი სცენა. მისი აზრით, არადაშავიყოფილებელი იყო მკითხაობის სცენა. მსახიობებიდან ამხ. ნ. ელიაშვილი უსაყვარლესს ე. ჩოხელს, რომელიც სწორად მაყურებლის გაცინებას ისახავს მიზნად, რისთვისაც თვითმიზნურად იყენებს ჟესტიკულაციასა და ტექსტუალურ მხარეს. მომხსენებელმა ვ. სალარიძეს უსაყვედურა ტექსტის უცოდინარობა.

დასასრულს იგი ლაპარაკობს იმ მძიმე პირობებზე, რომელშიაც უხდება შემოქმედებითი მუშაობა თეატრს.

თავის სიტყვაში თეატრმცოდნე ნ. ურუშაძემ ილაპარაკა მოზარდ მაყურებელთა ახალი დადგმის „ნების შევარდენის“ (ავტ. დ. თაქთაქიშვილი) თაობაზე.

იგი შეეხო დადგმის ცალკეულ ღირსებებს და მაღალი შეფასება მისცა მსახიობ ვ. სიხარულიძის თამაშს. მსახიობის მიერ შექმნილ მღებრივების სახეს თელსაჩინო გამარჯვება უწოდა მომხსენებელმა, რომელიც გარკვეულ ადგილს დაიჭერს ვ. სიხარულიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. მომხსენებელმა კარგი შეფასება მისცა წარმოდგენის ჩვენების სერითო კულტურულ დონეს და სპექტაკლის დადგმის ტექნიკურ მხარეს.

ჩვენ,—თქვა მან,—მოზრდილები და თეატრის სპეციალისტები ხშირად უნდა დაედიოდეთ იმ თეატრში, რომელიც ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საპატიო

საქმეს ეწევა და თავის სცენაზე ნამდვილი შემოქმედებითი მიღწევების დემონსტრირებას ახდენს.

25 მარტს რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრი უჩვენებდა ვ. კატაევის „პოლკის შვილს“.—სიტყვა მომხსენებელმა ლ. დოლონაძემ. მსახიობები, მისი შენიშვნით, ამ დღეს თამაშობდნენ შინაგანი ლტოლვისა და რომანტიკის გარეშე. ამის მიზეზად ის ასახელებს კინოსიანსივით ზედიზედ სპექტაკლების რამდენჯერმე ჩვენებას, რაც ღლის მსახიობს და ყოველგვარ შემოქმედებით ხალისს უკარგავს. ლ. დოლონაძის აზრით, დასს სჭირდება გადახალისება და ახალგაზრდა მსახიობებით შევსება.

საინტარული კულტურის თეატრში 25 მარტს წარმოდგენილი სპექტაკლის „უხვ საღამოზე“ მოხსენებით გამოდის თეატრმცოდნე ე. გელდიაშვილი. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული დადგმა არის თეატრალური ინსტიტუტის საინტერესო ფაქტორების სტუდენტის სადიპლომო ნამუშევარი. და რომ იგი კარგად ამჟღავნებს მისი ავტორის შემოქმედებით მონაცემებს და რეჟისორულ-დამდგმლობით უნარიანობას.

მომხსენებელი იწონებს სპექტაკლის ჩვენების საერთო მხარეს, მაგრამ შენიშნავს რადიოჩანაწერებზე. იგი კრიტიკულად განიხილავს პიესის თარგმანს და მოყავს ცუდი თარგმანის (თარგმანი ა. წერეთლისა) რამდენიმე მაგალითი.

25 მარტი თეატრებისათვის ცუდი დღე იყო,—თქვა მომხსენებელმა ლ. ხუციშვილმა. უამინდობის გამო თეატრებს მოაკლდათ მაყურებელი, მცირე იყო დასწრება თოჯინების ქართულ თეატრშიც, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია სპექტაკლის ჩვენება ყოფილიყო სათანადო მხატვრულ დონეზე.

რუსულ თოჯინების თეატრში 25 მარტს წარმოდგენილი ივ. ჯავახიშვილის პიესის „ყურშას გარეშე“. სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. ცაგარეიშვილი. მან თქვა, რომ მიუხედავად დიდი ხნისა, პიესა დღესაც ახლად გამოიყურება და მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ნორჩ მაყურებლებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა მსახიობთა განსახიერება, რომლებიც კარგად დაეუფლნენ ქართულ მსახლას, რომ მათ შესრულებაში არავითარ შეუსაბამობასა და ანაქრონიზმს არ ქონია ადგილი.

თბილისის სახელმწიფო ცირკში ნაჩვენებია ვრცელი ატრაქციონის შესახებ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვახნიანსკი.

მომხსენებლის თქმით, ბევრი საციროკონომრები მოკლებული იყო შინაგან ცეცხლს, შემოქმედებით გატაცებას და ეს იმიტომ, რომ ერთობ დამლელია დღეში სამჯერ ერთი და იგივე პროგრამის თამაში. თუმცა ტექნიკურად ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ გამოსვლების უმრავლესობას აკლდა არტისტიზმი. კიოს შეიღოს გამოსვლა ცირკის არენაზე, — მომხსენებლის თქმით, — შემთხვევითია; განსხვავებით მამისაგან იგი მოკლებულია ელვარე არტისტიზმს.

ორკესტრის საშემსრულებლო ხელოვნება, — თქვა, მან, — ბევრად გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ უღისციბლინოდ იქცევიან ისინი.

ამხ. ვახნიანსკის გამოსვლით დამთავრდა მომხსენებლების გამოსვლა.

კამათში მოხსენებათა გარშემო სიტყვა აიღო კ. მარჯანიშვილის თეატრის დირექტორმა აკ. დვალისვილიმ. მან მოიწონა თეატრალური საზოგადოების მიერ მოწყობილი

ლონისძიება და გამოთქვა სურვილი, სწორედ შნულ განხილვებს ჰქონოდა მეთოდური და სისტემატური ხასიათი.

იგი შემდეგ კრიტიკულად შეეხო თბილისის თეატრებში სპექტაკლების ჩვენების კულტურას და ბევრ რამეში არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია. ა. დვალისვილიმა აღნიშნა, რომ მომხსენებლებს შეეძლოთ უფრო მკაცრი ყოფილიყვნენ რიგით სპექტაკლებზე მსჯელობის დროს.

კამათში გამოსული ამხანაგებიდან სხდომაზე საქმიანი წინადადებებით შემოვიდნენ თეატრის დირექტორები: აკ. შანიძე და გ. ჟორდანიია.

ბოლოს შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა თეატრალური საზოგადოების კრიტიკისა და თეატრმკოდნობის სექციის თავმჯდომარე — ჯანელიძე.

ბოლოს ერთხმად იქნა აღიარებული, რომ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები საფუძვლად უნდა დაედოს თბილისის თეატრებში რიგითი სპექტაკლების ჩვენების გაუმჯობესების ღონისძიებებს,



საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებულ სექციათა შორის მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის სექციის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (ხელმძღვანელი პროფ. აკაკი ფაღავა). განსხვავებით თუნდაც თეატრალური კრიტიკის სექციისაგან, რომელიც თეატრის მუშაობის ყველა სფეროს ეხება, მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის სექცია სხენებული ორი საკითხის შესწავლა-განხილვას აწარმოებს. შესწავლის ობიექტის ამგვარი კონკრეტულობის გამო ლაბორატორიული მუშაობა ყველაზე უფრო ამ სექციაში ხერხდება და მით უფრო ძნელია მისი სათანადოდ წარმართვა.

ცნობილია, რომ თეატრალური ხელოვნების რთულ ორგანიზმში თეორიულად ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი მსახიობისა და რეჟისორის შემოქმედება—სწორედ ის, რაც მთავარია თეატრში.

თეატრმცოდნეობა ახალგაზრდა მეცნიერება და მისი ურთულესი საგნის შესწავლაში ჯერ კიდევ ბევრი საკვლეფ-საძიებელი, განსაკუთრებით—მეთოდოლოგიის საკითხებში. ამიტომ ბუნებრივია, რომ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ყოველივე ის, რაც ამ საკითხებს ეხება.

ამ მიმართულებით მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის სექციამ გასულ სეზონში საინტერესო ღონისძიება ჩაატარა: მოსმენილი იქნა აკად. ანგია ბოჭორიშვილის მოხსენება ესთეტიკური ტკბობის საკითხებზე, მსგავსი ღონისძიება ჩატარდა ხელოვნების მუშაკთა სახლში, სადაც პროფ. რევაზ ნათაძემ წაიკითხა მოხსენება გარდასახვის ფსიქოლოგიურ საფუძველზე.

ა. ბოჭორიშვილმა ილაპარაკა საგნის აღქმის სხვადასხვაგვარობაზე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ერთი და იგივე მოვლენის განსხვავებული სხვადასხვაგვარობაზე. დაუკავშირა ეს როგორც მსახიობის მიერ ერთი და იმავე როლის სხვადასხვა ვითარებაში განსახიერებას, ისე მაყურებელთა განსხვავებულ შემადგენლობას; მიუთითა იმაზე, რომ ერთი ადამიანი ერთსა და იმავე სპექტაკლის სხვადასხვა წარმოდგენას განსხვავებულად აღიქვამს მთელ რიგ ობიექტურსა და სუბიექტურ ვითარებათა გამო, ილაპარაკა ესთეტიკურ გან-

ცდაზე, რომელიც მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებით არ გამოიწვევა. დაახსიათა სიხარულისა და ტკბობის თავისებურებანი.

დასასრულს. ა. ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ ხელოვნების მოვალეობაა, სწინამდვილის საიდუმლოებას იმ ვხით ახადოს ფარდა, რომელიც მისთვისაა ახლობელი და ბუნებრივი.

აღნიშნა, რომ მცდარია ხელოვნებისა და მეცნიერების დანიშნულების გაიგივება. მეცნიერებას რომ შეეძლოს ხელოვნების საქმის გაკეთება, ვერაფერ ვერ დაუშლიდა მის სფეროში შეჭრას. ხელოვნების საქმეს მეცნიერება ვერ გააკეთებს. ფსიქოლოგიის საკითხს ფსიქოლოგზე უკეთ თუ შესწავლის ვინმე, მაშინ ის ყოფილა ფსიქოლოგი. ასეა ყველა მეცნიერება, მათ შორის თეატრმცოდნეობაც. ამისათვის ადამიანის სულიერი სამყაროს შესწავლელი მეცნიერების ყოველმა დარგმა თავისი კონკრეტული ადგილი უნდა გაემთქმნოს და უსათუოდ უნდა გაემთხროს მეორე მეცნიერებას ადამიანის სულის წვდომის საკითხში.

ა. ბოჭორიშვილის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მსმენელებში, განსაკუთრებით თეატრის მუშაკებში. ცხოველკამათში მონაწილეობა მიიღეს ა. დვალის-ვილმა, გ. ლორთქიფანიძემ და სხვ. სექციის ხელმძღვანელმა ესწრებოდნენ ფსიქოლოგები: ე. ვაჩნაძე, ე. კეჭერაძე, ი. კოტეტიშვილი, გ. ბოჭორიშვილი, ზ. მოღებაძე, ვ. კაკაბაძე და სხვები.

პროფ. რ. ნათაძის მოხსენება „გარდასახვის ფსიქოლოგიური საფუძველები“ იმის მავალითა, თუ რა სარგებლობის მომტანია ყველა ახალგაზრდა მეცნიერებისათვის უკვე ძველმეორე მონათესავე მეცნიერების დახმარება.

რ. ნათაძემ მოხსენება ფსიქოლოგ იაკობსონის დებულებათა კრიტიკით დაიწყო. იმ დებულებათა კრიტიკით, რომელთა მიხედვით მსახიობი შემოქმედების პროცესში თითქოს მფრინვე გრძნობებს განიცდიდეს (ე. ი. ისეთ გრძნობებს, რომლებიც მასში, როგორც პიროვნებაში, არაფერს ცვლიან). ეს შეცდომაა, რადგან მფრინავი გრძნობა ქცევის იმპულსს

არ იძლევა, მსახიობის შემოქმედება კი ქცევაა.

შემდეგ რ. ნათაძემ განმარტა დ. უზნაძის მიერ ამოხსნილი ე. წ. განწყობის თეორია, როგორც გარკვეული სიტუაციით გამოწვეული მდგომარეობა ადამიანისა, მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრავს როგორც მის ქცევას, ისე მის ცნობიერებასაც. მომხსენებელმა მოიყვანა მთელი რიგი მაგალითებისა იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ წარმოებს განწყობის აღმოცენება ცხოვრებაში: გაჩნდება თუ არა ამოცანა, ადამიანიც განწყობილია მის შესასრულებლად. მაგალითებით ნათელი გახდა, რომ განწყობა ადამიანის ქცევის მამოძრავებელია, განწყობა, რომელიც ამ გარკვეულ სიტუაციას შეეფერება. ასეა ეს რეალურ სინამდვილეში, ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებაში.

მაგრამ მსახიობის შემოქმედება წარმოსახულ სიტუაციაში მოქმედებას ნიშნავს. მაშასადამე იგი წარმოსახულ სიტუაციის მიმართ უნდა განწყობს. იმ სიტუაციის მიმართ, რომელიც ნაგულისხმევი აქვს ავტორს, რეჟისორს და თვით მსახიობსაც.

შემდეგ მომხსენებელმა აუდიტორიას გააცნო შედეგები იმ ცდებისა, რომლებიც მას ჩატარებია გამოჩენილ მსახიობებსა და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებზე და ის

დასკვნებიც, რომლებიც, მას მიუღია აღნიშნული ცდების შედეგად.

პროფ. რ. ნათაძის მოხსენება ყურადღებით მოისმინა აუდიტორიამ და ცხოველი კამათიც გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს დ. ჯანელიძემ, ო. ალექსიშვილმა, ლ. იოსელიანმა, ნ. ურუშაძემ და სხვ.

ის ორი მოხსენება, რომელიც წაიკითხეს გამოჩენილმა ფსიქოლოგებმა ა. ბოჭორიშვილმა და რ. ნათაძემ იმის მაუწყებელია, რომ სამყაროს შემსწავლელ ამ ორ დარგს შორის, ფსიქოლოგიასა და სასცენო ხელოვნებას შორის, არსებობს არა მარტო ბუნებრივი ინტერესი ერთმანეთის მიმართ, არამედ იმის შეგრძნებაც, თუ რაოდენ შედეგიანი შეიძლება იყოს მათი ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობა.

მსახიობის ოსტატობისა და რეჟისორის სექციის ეს წამოწყება გრძელდება. სექციის ბიუროს შემდეგ ღონისძიებად დასახული აქვს ა. ბოჭორიშვილისა და ნ. ურუშაძის საერთო მოხსენება სესილია თაყაიშვილის მიერ განსახიერებულ ბებიას მხატვრულ სახეზე ნ. დუმბაძის და ვ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მსახიობის ეს მხატვრული სახე განხილული იქნება ერთდროულად ფსიქოლოგებისა და თეატრმცოდნეების მიერ.

## თეატრები

### «ქართლის ჩირაღდნები» სოხუმის თეატრში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს სოხუმის თეატრმა ვ. კანდელაკის «ქართლის ჩირაღდნები» უძღვნა. ამ წარმოდგენის პრემიერაზე მონაწილეობის მისაღებად თეატრალურმა საზოგადოებამ გაგზავნა ბრიგადა.

ბრიგადაში შედიოდნენ თეატრმკოდნე ვ. კიკნაძე, რეჟისორი შ. კილოსანიძე და მსახიობები ბ. კობახიძე და გურ. სალარაძე. წარმოდგენის შემდეგ თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები ესაუბრნენ მსახიობებს, გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი.

რა შეიძლება ითქვას სპექტაკლზე, მსახიობთა თამაშზე, პიესაზე, რეჟისორისა და მხატვრის ნამუშევარზე?

სპექტაკლის შემფასებლებს განსაკუთრებით მოეწონათ სცენა სადგურზე და ე. წ. „შავი ბაზარი“. რეჟისორს ვ. ყუშიტაშვილს აქ მოუტებინა ფსიქოლოგიურად მართალი განწყობილების შესაფერი ტონი, შექმნილია სცენური ინტიმი. განსაკუთრებით ეს ითქმის „შავ ბაზარზე“. ეს სცენა ისეა გაგებული, რომ მენშვიტური არმიის ოფიცრობა და საერთოდ ამ ბაზრის წუშაში ჩაცვენილი ახალგაზრდობა ხანდელთური ფსიქოლოგიისა როდია. მათი სევდა ადამიანურია და ჩამოქვეითებული. ისინი გარეყა ახალი ცხოვრების მძლავრმა ტალღამ, რადგან ორგანულად არ მიიღეს იგი.

სცენაზეა მარტივი ფიცრული „სახაშვი“; არაფერი ზედმეტი და ბუტაფორიული აქ არ არის. ყველაფერი, რასაც სცენაზე ვხედავთ, ინტიმური, ნიუანსებზე აგებული განწყობილების შექმნის მიზანს ემსახურება. და საერთოდ მთელი სპექტაკლი სწორედ ამ ტონალობაშია გადაწყვეტილი, თვით სადგურისა და ზაპისის მშენებლობის სურათებიც კი ასეა მოფიქრებული. არავი-

თარი ზედმეტი ხმაური და ფუსფუსი, მოჩვენებითი პათოსი და ჰეროიკა, ყველაფერი სადა და უპრეტენზიო, — ასეთია საერთო შთაბეჭდილება. შეიძლება სადაო იყოს რიგი სცენების ნატურალური, ძალზე ყოფითი ფსიქოლოგიური ასპექტით გადაწყვეტა, მაგრამ ის, რაც არის, შესრულებულია პროფესიულ დონეზე.

ბრიგადის წევრთა უმრავლესობის აზრით, სპექტაკლში მართებულად არ არის მკვეთრად დიდფერენცირებული მთავარი და მეორე ხარისხოვანი ტიპების ფუნქცია. ერთის შეხედულებით ეს დიდი ნაკლიცაა. რატომ არ უნდა იყოს გამოკვეთილი და გამორჩეული მთავარი გმირი? მაგრამ რეჟისორი ითვალისწინებს ერთ არსებით მხარეს — აქტიორული შესრულების პოტენციონალურ შესაძლებლობას. რეჟისორს ურჩევნია მთავარი გმირი წარმოდგენის საერთო გამაში ასრულებდეს უფრო მეტ როლს, ვიდრე თავისთავად იყოს ძლიერი და გამორჩეული. აქტიორული მონაცემების, რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებამ ამჯერად გაამართლა რეჟისორის პოზიცია.

ეს იმდენად აშკარაა, რომ წარმოდგენაში სუსტია ერთ-ერთი მთავარი გმირის რევანზის (ვ. სალაყაიას) სახე, მაგრამ წარმოდგენის საერთო დონე ისეთია, რომ იგი გარკვეულ შეღავათსაც კი აძლევს მსახიობს. კამერული ინტიმური ატმოსფერო, რომლითაც ეს სპექტაკლი გამოირჩევა, ერთგვარ სირბილესა და სითბოს ჰმატებს შიშველ ტენდენციასაც კი. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მას მიწაზე ჩამოჰყავს იდეური, თეორიული მსჯელობანი და მეტ ქმედით ძალას ანიჭებს მათ.

ვ. კანდელაკის «ქართლის ჩირაღდნებში» არის ზოგი რამ სადაო და საკამათო, თვით ეს ფაქტიც კი იმაზე მეტყველებს, რომ იგი



უსათუოდ საინტერესო ნაწარმოებია. ამ ინტერესს უპირველესყოფელისა რევოლუციის სახე იწვევს. ეს არ არის ქართულ დრამატურგიისათვის ცნობილი უარყოფითი სახე, სახე ტრადიციული და ისე გააზრებული, როცა იდეურად მოწინააღმდეგე ადამიანი უსათუოდ მახინჯი ან ბანდიტური ფსიქოლოგიისა უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ არსებითად მცდარი და პრემიტიული გზაა? რატომ არ შეიძლება, ადამიანი ვერ ერკვეოდეს ან არ იზიარებდეს კონკრეტულად ამ პიესაში მოცემულ პოზიციას, მაგრამ იგი, როგორც პიროვნება, როგორც ადამიანი, საინტერესო იყოს, შესაძლოა სიმპატიურიც, იცოდეს მეგობრობაც და სიყვარულიც, რუსულ დრამატურგიაში ეს კარგად გააკეთა ბულგაკოვმა „ტურბინების დღეებში“. ვ. კანდელაკის პიესაშიც ადამიანურია რევოლუციის დაბნეული მოწინააღმდეგეა საბჭოთა ხელი-სუფლებისა, მან ვერ გაუგო ახალ ცხოვრებას, მოექცა უცხოური ყალბი პროპაგანდის ვავლეზის ქვეშ. ეს ასეა, და მაინც სწორედ აქ, ამ სცენებში ჩანს ყველაზე მეტი ახალი ცხოვრების ძალა, მისი სიმართლე და ისტორიული სიდიადე, მისი იდეური სიმახვილე და სიმძაფრე.


სოხუმის თეატრი გულსყურით მოეკიდა ამ პასუხსაგებ თემას, მან შეძლო სწორად აესაზა ის რთული ისტორიული პროცესები, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის წლებში მიმდინარეობდა. ეს იყო ძველისა და ახ-

ლის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის შხლიანი წლები. მომკვდავთან, ისტორიულად განწირულ სამყაროსთან ჭიდილში იკაფავდა გზას ახალი, იგი მკვიდრდებოდა ქართველი ხალხის სულიერ და მატერიალურ ცხოვრების ყოველ უბანზე. რამდენადაც რთული და მტკივნეული იყო ეს დამკვიდრების პროცესი, იმდენად ამალღევებელი და საინტერესო იყო იგი, მის ხასიათს განსაზღვრავდა ზრუნვა ადამიანის ბედზე.

„ქართლის ჩირაღდნებში“ მოწინააღმდეგედნენ: მ. ჩუბინიძე (თედო), ბ. წიფურია (პილატე), თ. ბოლქვაძე (ნინო), ლ. ფილფანი (ბეჟანი), ნ. ყიფიანი (თამრო), მ. გვილია (ტროპნევი), ნ. მიქაშვიძე (ტიმოფეი), ტ. ხორავა (რასისპირელი), ბ. თოფურაძე (მუნასიბი), ი. კალანდაძე (ჯოკია), ა. ბოკუჩავა (კორჩოტა), ნ. მასხალია (კოპიჯა), გ. ფოჩხუა (კონკია), ვ. ხუბულური (ბარაბა), ნ. ქარუსანიძე (ზორაბა), შ. კიქნაძე (მემამულე), ს. პაჭკორია (ებრაელი) და სხვა.

სპექტაკლის მხატვრული ფაფორმება ეკუთვნის ა. ვერულეიშვილს, მუსიკა მ. ბერიკაშვილს.

თეატრალური საზოგადოების წევრებმა ილაპარაკეს იმ სერიოზულ ხარვეზზეც, რომელიც ამ სპექტაკლის აქტიორულ შესრულებაშია. საერთოდ კი „ქართლის ჩირაღდნები“ კარგ მოვლენად მიიჩნეეს სოხუმის თეატრალურ ცხოვრებაში. იგი იძლევა იმედს, რომ სოხუმის თეატრს შეუძლია შექმნას ჩვენი დროის თანახმიერი, მაღალიდგური წარმოდგენები.



სახლბუნი თეატრი

საქართველოს თეატრალური საზოგადოება თავისი საქმიანობის დიდ ნაწილს უთმობს რესპუბლიკაში სახალხო თეატრების განვითარების საქმეს.

ამ თეატრებში საზოგადოება სისტემატურად გზავნის კვალიფიციურ რეჟისორებსა და თეატრომოდინებს, რომლებიც პრაქტიკულ დახმარებას უწევენ სახალხო თეატრებს სპექტაკლის შექმნაში. გარდა ამისა, კითხულობენ, მავალითად, ასეთ ლექციებს: მსახიობის მუშაობა როლზე, რეჟისორის მუშაობა მსახიობთან, სასცენო მეტყველების ტექნიკა და სხვა.

სახალხო თეატრების მუშაკთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე, რომელმაც სახალხო თეატრების მდგრადობის საკითხი განიხილა, აღინიშნა ამიერკავკასიის რკინიგზელთა სახლის სახალხო თეატრის საინტერესო მუშაობა.

ამიერკავკასიის რკინიგზელთა სახალხო თეატრი შეიქმნა თბილისში რკინიგზელთა სამმართველოს სისტემაში შემავალი თეატრალური კოლექტივების ბაზაზე. დასი უმთავრესად ახალგაზრდა შემსრულებლებით დაკომპლექტდა, რომლებმაც განუწყვეტელ ნაკადად იწყეს დენა თეატრში.

ეს ძირითადად მუშა ახალგაზრდობაა, ის წარმოებას მოუწყვეტილ ცდილობს დაეუფლოს სასცენო ხელოვნებას, გამოავლინოს თავისი უნარი სახალხო თეატრის სცენაზე. მას ხმარობს ამოუდგენი ძველი რკინიგზელები, რომლებიც სცენაზე მრავალი წლის მუშაობის გამოცდილება აქვთ. მათ ხელოვნებისადმი უსასღვრო სიყვარული მოიტანეს სახალხო თეატრში. ახალგაზრდათა შორის ბევრი აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც არ ჰქონდა სცენაზე მუშაობის გამოცდილება. ამ გარემოებამ დაბადა აზრი სახალხო თეატრთან თეატრალური სტუდიის ჩამოყალიბებისა. მასში სტუდიელები, მსახიობის ოსტატობის ძირითად წესებსა და თეორიულ ცოდნას ეუფლებიან.

ერთდროულად დაიწყეს მუშაობა თბილისის რკინიგზელთა სახალხო თეატრმა და მასთან არსებულმა თეატრალურმა სტუდიამ. თეატრის დასმა მუშაობა დაიწყო ი. გელე-

ვანიშვილის პიესაზე „მსხვერპლი“, რომელიც წინათ წარმატებით იდგებოდა სახალხო თეატრის სცენაზე. იმ ხანად მისი დადგმა რეჟისორმა ალ. წუწუნავამ განახორციელა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატები: ნიკო გოციორძი, გიორგი არაღელი-იმხნელი და სხვები.

შემომდევნებითი კოლექტივის ასეთი არჩევანით სახალხო თეატრმა გამოთქვა სურვილი ძველი სახალხო თეატრების საუკეთესო ტრადიციის გაგრძელებისა. პიესა წაკითხული იქნა თანამედროვეობის თვალსაზრისით. ამან მტკიცე შესაძლებლობა შექმნა „მსხვერპლის“ ახლებურად გახსნისათვის.

1959 წლის 27 ივლისს რკინიგზელთა სახალხო თეატრი პირველად წარსდგა მაყურებლის წინაშე. თბილისის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით გამოეხმაურა ამ თეატრის გახსნას და მის პირველ წარმოდგენას. იგი დიდი დამაჯერებლობითა და სიციცხლის უნარიანობით აცდერდა. დაიბეჭდა მრავალი სტატია და რეცენზია. თბილისის ტელესტუდიამ „მსხვერპლის“ მილიანი გადაცემა მოაწყო. შემდეგ თეატრმა რამდენიმე საინტერესო მხატვრული ნაწარმოები შექმნა.

ამჟამად თბილისის რკინიგზელთა სახალხო თეატრში 90 მსახიობია, თეატრალურ სტუდიაში კი—170 მოსწავლე. სწავლების ვადა ორი წელია. მეცადინეობა კვირაში სამჯერ წარმოებს. სტუდიაში იკითხება სასცენო მეტყველება, მსახიობის ოსტატობა, გრიმი, თეატრებისა და სახვითი ხელოვნების ისტორია და სხვა. სტუდიელები სისტემატურად მონაწილეობენ სახალხო თეატრის მიერ წარმოდგენილ სპექტაკლებში. რითაც გარკვეულ სასცენო გამოცდილებას იღებენ.

თეატრის მორიგა არჩევანი თანამედროვეობის ამსახველ პიესაზე შეჩერდა; ეს იყო მიხეილ მრგელიშვილის „ხარატანთ კერა“, რომლის განხორციელებისათვის დასი უკვე მომწოდებული იყო და სპექტაკლმაც წარმატება მოიპოვა, თეატრალურმა საზოგადოებრიობამ იგი შეიტანა საქართველოს საუკეთესო სპექტაკლთა რიცხვში. რკინიგზის სა-

ხალხო თეატრი ამ წარმოდგენით წარდგა რესპუბლიკურ დათვალეობაზე. იგი მოაწყო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით.

სპექტაკლის ავტორი ახალგაზრდა რეჟისორი გ. ქართველიშვილი შეეცადა წინ წამოეწია ადამიანთა სულიერი ლეღვა, მათი გრძნობები და განწყობილებები. ასეთი რეჟისორული გადაწყვეტა მ. მრევლიშვილის ამ ნაწარმოების ძირითადი მოტივებისა, სპექტაკლს სძენს დინამიურობას, სიმკვეთრეს,

ემოციურობას. ამავე დროს რეჟისორი ცდილობდა აქტიური გაეხადა კოლექტივი, რომელიც იბრძვის ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის. ის ცდილობს შექმნას მასობრივი სანახაობა, ხმარობს კონტრასტულ ფერებს, რათა ნათელჰყოს დადებითისა და უარყოფითის ჭიდილი.

ამიერკავკასიის რკინიგზის სახლის სახალხო თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა თავისი არსებობის ხანმოკლე დროში შეძლო მაყურებლის ყურადღება და პატივისცემა დაემსახურებინა.





თამარ ჭავჭავაძის საიუზიემო საღამო

1961 წლის 23 იანვარს საქ. სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და რუსთაველის სახ. თეატრმა მოაწვევეს რესპუბლიკის სახალხო არტისტის თამარ ჭავჭავაძის საიუზიემო საღამო, მიძღვნილი მისი დაბადებიდან 60 წლისა, ხოლო სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქ. სსრ კულტურის სამინისტროს სათეატრო სამართველოს უფროსმა, ხელოვნების დამსახ. მოღვაწემ ი. გვინჩიძემ, რის შემდეგაც თ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და სასცენო მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა.

—მეტად მრავალფეროვანია ჩვენი საყვარელი მსახიობის თამარ ჭავჭავაძის შემოქმედება,—განაცხადა აშხ. ჟღენტმა, თ. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ბავშობიდანვე გაიტაცა ხელოვნებამ. თამარი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო მოწაფეთა თვითმოქმედი ქართული და რუსული წრეებისა, როდესაც იგი თბილისში წმინდა ნინოს სასწავლებელში სწავლობდა. ვადის დრო და ჩვენ თამარ ჭავჭავაძეს გხვდავთ უკვე პროფესიულ თეატრში.

თამარ ჭავჭავაძე,—დასძენს მომხსენებელი,—თავის წარმოშობით ეკუთვნის საქართველოს იმ ულამაზეს და უმდიდრეს კუთხეს, ჩვენი ჩახეთის იმ სოფელს—ყვარელს, რომელმაც მისცა საქართველოს დიდი ილია ჭავჭავაძე, მშენებელი და დიდება ჩვენი კლასიკური ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნებისა, რომელმაც მისცა საქართველოს ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელი და მისი მოღვაწე კოტე მარჯანიშვილი.

და აი, როდესაც ქ. მარჯანიშვილი ქართულ თეატრს დაუბრუნდა, მასთან ერთად თამარ ჭავჭავაძეც და სხვა ახალგაზრდა მსახიობებიც მხარში ამოუდგნენ საბჭოთა საქართველოს აღმოცენების პირველ წლებიდანვე და განაგრძობდნენ თავდადებულ და პატიოსან შემოქმედებით მუშაობას. ასე, რომ,—დასძენს აშხ. ბ. ჟღენტი,—თ. ჭავჭავაძის

ბიოგრაფია მკიდროდ არის დაკავშირებული ქართულ საბჭოთა თეატრის და საერთოდ ქართული კულტურის ზრდისა და განვითარების ისტორიასთან.

ვის არ ახსოვს,—აცხადებს მომხსენებელი,—თ. ჭავჭავაძის მიერ ბრწყინვალედ განხორციელებული სახეები: ლურენსია, ზენიანი, ქეთევან დედოფალი, ოთარაანთ ქვრივი, ვასა ჟღელზნოვა, იოკასტა და მრავალი სხვა, რომლებიც შევლენ თეატრალური ცხოვრების საუკეთესო სახეთა გალერეაში.

მაგრამ თამარ ჭავჭავაძის შემოქმედება მართლ თეატრში მოღვაწეობით როდი განისაზღვრება. თამარს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კინო ხელოვნების დარგში და აგრეთვე ქართულ საესტრადო ხელოვნებაშიც.

უნდა აღინიშნოს თ. ჭავჭავაძის მხატვრული კთხვის ოსტატობაც. იგი ხიზლავს მსმენელებს თავის დახვეწილი ქართულით და შესრულების მაღალი ოსტატობით. თამარი სისტემატიურად გამოდის ფართო მაყურებლის წინაშე! იგი პოპულარიზაციას უუკეთეს ქართველ კლასიკოსს და თანამედროვე მწერლებსა და პოეტებს ნაწარმოებებს.

მომხსენების შემდეგ იუზიემოს მიესალმნენ და ადრესები და საჩუქრები გადასცეს საქ. სსრ კულტურის სამინისტროს სახელით აშხ. აკ. ძიძიჯურმა, საქ. თეატრალური საზოგადოების სახელით დ. ჩხეიძემ, საქ. მწერალთა კავშირის სახელით მის. მრეწველიშვილმა, თეატრალური ინსტიტუტის სახელით მალიკო მრეწველიშვილმა, მარჯანიშვილის სახ. თეატრის სახელით ვერიკო ანჯაფარიძემ, მოხარდ მაყურებელთა რუსული თეატრის სახელით თ. პაპიტაშვილმა, ვ. აბაშიძის სახ. მუსკომედის თეატრის სახელით რეჟისორმა შ. მესხმა, შაუშიანის სახ. თბილისის სომხური თეატრის სახელით მ. მოჭორიანიშა, გრიბოედოვის სახ. თეატრის სახელით ეკ. სატინამ, სანდრო შანშიაშვილმა, ალ. წერეთელმა და სხ.

დასასრულს გაიმართა კონცერტი თ. ჭავჭავაძის მონაწილეობით.

მიმდინარე წლის 22 იანვარს საქ. სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მოაწვევეს სსრ კავშირის სახალხო არტისტის ილიკო სუხიშვილისა და საქ. სსრ სახალხო არტისტის ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით არსებული საქართველოს ცეკვის დამსახურებელი ანსამბლის შემოქმედებით საღამო, მიძღვნილი მისი არსებობის 15 წლისთავისადმი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქ. სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ანხ. გ. ფოფხაძემ. მან ილაპარაკა ანსამბლის ნაყოფიერ მუშაობაზე 15 წლის მანძილზე როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

გაკეთა რა ვრცელი მიმოხილვა ცეკვის დამსახურებული ანსამბლის მოღვაწეობაზე 15 წლის მანძილზე, მომხსენებელმა ხელოვნ. დამსახ. მოღვაწემ, პროფ. პ. ხუჭუაძემ თქვა: საქართველოს ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა თავის არსებობის მანძილზე შემო-

იარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე-საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქები და მრავალი დასახლებული ადგილები. სადაც, ყველგან დიდი წარმატებით გამოდიოდა ჩვენი ანსამბლის კოლექტივი და პოპულარიზაციას უკეთებდა მშობლიურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას.

— განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა ანსამბლის გამოსვლებს, — დასკვნის ამხ. ხუჭუაძე, — სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში; აგრეთვე — საფრანგეთში, ინგლისში სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში და ჩრდილო ამერიკის შვეიცარიულ შტატებში. ყველგან, სადაც კი გამოდიოდნენ ანსამბლის ტანწორწიეტა ქარველი ვუჰაკაიები და მონარნარე გოგონები, მაყურებლები აღფრთოვანებით ხვდებოდნენ მათ მიერ ვირტუოზულად შესრულებულს „ცეკვა ქართულს“, „სამიას“, „მხედრულს“, სახუმარო „მლეოს“ და სხვებს, მათ ტაშს უკრავდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მაყურებელი.

დასასრულ ანსამბლმა დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგინა თავისი პროგრამის საუკეთესო ნიმუშები.

### პაპრაჰ მხშატიანის შემოქმედებითი საღამო

1961 წლის 31 იანვარს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ შაუმიანის სახ. თბილისის სახელმწიფო სომხურ თეატრთან ერთად მოაწყო ამავე თეატრის მსახიობის ვაჰრამ მხშატიანის შემოქმედებითი საღამო მისი დაბადებიდან 50 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის შესრულების გამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ხელ. დამს. მოლვაწე ფ. ბუკიანიმა, რის შემდეგაც ვაჰრამ მხშატიანის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა მწერალმა სურენ აგჩიანიმა.

მომხსენებელმა ილაპარაკა ვ. მხშატიანის სასცენო მოღვაწეობაზე, თბილისში (ჯერ კიდევ მისი სცენაზე პირველად გამოსვლიდან) და შემდეგ მოძმე სომხეთის დედაქალაქ ერევანის მოზარდ მაყურებელთა თეატრსა და სომხეთის სხვადასხვა ქალაქებში. ამხ. აგჩიანიმა თქვა, რომ ვ. მხშატიანი 1944 წლიდან კვლავ ბრუნდება თბილისში და აქ განაგრძობს

იგი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას აქაური სომხური თეატრის სცენაზე.

ვ. მხშატიანს განხორციელებული აქვს ისეთი სახეები, როგორიცაა: პეპო „პეპოში“, გოდუნე „არღვევაში“, კორობლიოვი „ორ კაპიტანში“, გევორქ მერზაპეტუნი ამავე სახელწოდების პიესაში, ალიუტანე მ. ნანშიაშვილის „არსენაში“, დავითი მ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთში“. გიტო „გლახის ნაამბობში“, ზაზა ა. აბშილავეს „ადამიანი და ბრუნდა“-ში და სხვ.

საღამოზე იუბილარს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს საქ. თეატრალური საზოგადოების, თბილისის თეატრებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.

ვ. მხშატიანის ღვაწლი კარგად იქნა დასახელებული და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 40 წლისთავზე მას მიენიჭა საქ. სსრ დამსახურებული არტისტის წოდება.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების საქმიანობა  
1961 წლის I კვარტალში

იანვარი—თებერვალი—მარტი

გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ჩატარებულია 1961 წლის პირველ კვარტალში და რომელთა ანგარიშებიც მოთავსებულია ჩვენი მოამბის ამავე ნომერში, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ამავე პერიოდში ჩაატარა აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც

როგორც ცნობილია საზოგადოება სისტემატურად აგზავნის შემოქმედებითი ბრიგადებს ადგილებზე, როგორც სახელმწიფო და სახალხო თეატრებში, ისე კულტურის სახლების თვითმოქმედ დრამატულ წრეებში სპექტაკლების განსახილველად, ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე ლექცია-მოსხენებების წასაკითხად და თვითმოქმედ წრეებში მეთოდური და პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად.

ამ მიზნით საზოგადოების შემოქმედებითი ბრიგადები პირველ კვარტალში მივლინებულ იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრებში. პირველი ასეთი ბრიგადა თეატრ-მცოდნე ვ. კიკნაძის, რეჟისორ ლ. მიროცხუ-ბრავის და რეჟისორ მ. ვანნიანსკის შემადგენლობით ეწვია ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრს. ბრიგადის წევრებმა ამ თეატრში ნახეს სპექტაკლები: დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, ლ. სანიკიძის — „ქუთათურები“ და დ. კვიციანიძის — „თოვლიან ლამეს“. საერთოდ სამივე სპექტაკლმა ბრიგადის წევრებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ქუთაისელი მასუბრებელი ლ. მესხიშვილის სახ. თეატრმა ერთხელ კიდევ გაახარა იმით, რომ კვლავ დაუბრუნდა ჩვენს კლასიკოს დ. კლდიაშვილს, რომლის „ირინეს ბედნიერება“ განხორციელდა, სსრ კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ვასაძის დადგმით.

ბრიგადის წევრთა ერთსულოვანი აღიარებით განსაკუთრებული წარმატება ხვდა ფი-

ლიპეს როლის შემსრულებელ რესპ. სახ. არტისტს შ. ხაჯალიას. მაგრამ აქვე აღნიშნავენ ბრიგადის წევრები, რომ ერთგვარი ფაციფუცი და მაღალი ტონით ლაპარაკი ემჩნეოდა აბესალომის როლის შემსრულებელს ა. სვანაძეს.

ბრიგადის წევრები კარგ შეფასებას აძლევენ აგრეთვე ამ თეატრის სპექტაკლებს „ქუთათურებს“ და „თოვლიან ლამეს“. აღსანიშნავია, რომ ორივე ამ პიესის ავტორები ადგილობრივი—ქუთაისელი მწერლები არიან, რომლებიც თავიანთი ორიგინალური დრამატურგიით ამდიდრებენ როგორც ქუთაისის, ისე ქართული თეატრის ეროვნულ დრამატურგიას.

მიუხედავად იმისა, რომ—წერენ ბრიგადის წევრები თავიანთ მოხსენებით ბარათში,—ორივე პიესას აქვს ნაკლოვანებები (მაგ. „თოვლიან ლამეში“ დრამატურგული სისუსტე, ნაკლებ მოტივირებული და დაუჯერებელი ადგილები), ორივე ეს პიესა დამსახურებული წარმატებით სარგებლობს ქუთაისელ მასუბრებელში.

თელავის სახელმწიფო თეატრში მივლინებულ იყვნენ—ამხანაგები ნელი ჩაჩავა და პოეტი ქალი მედეა კახიძე, რომლებმაც ნახეს და დასწი განიხილეს სპექტაკლები—„პატარა კახი“, „ბახტრიონის გმირები“, „გული ხელის გულზე“ და „პატარა მეომარი“.

აქ. წერეთლის „პატარა კახი“ კარგა ხანია თელავის თეატრში აღარ გაუმეორებიათ. ეს პიესა თეატრმა განახორციელა დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის დაბადებიდან 120 წლისთავის აღსანიშნავად. პიესა, რომელიც ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწე ნ. გოდიაშვილმა დასწავა, კარგად არის შეკრული. რეჟისორმა, —სწერს ამბ. ნ. ჩაჩავა,—შესძლო მასუბრებლამდე მიეტანა დიდი პოეტის მიერ პიესაში.



ჩაქსოვილი პატრიოტული აზრები და დიდი წარმატება ხვდა წილად თელაველ მაყურებელში. ეს გასაგებია, რადგან ქართული ხალხის ეროვნული გმირი ერეკლე მეორე ხომ ამ მხარეში დაიბადა... მაგრამ.— დასძენს კრიტიკოსი,— მსახიობმა ნ. დვისიძემ ვერ შეძლო პატარა კახის სახის მოცემა, რადგან შემსრულებელს საამისოდ არც გარეგნობა უწყობდა ხელს და არც მეტყველება. კარგად ასრულებდნენ როლებს ე. ჩელთისპირელი (სერი ჩოლოყაშვილი), გრ. კველიშვილი (გელა), ე. კუჭავა (ტურფა) და სხვ.

ბრიგადის წევრები კარგ შეფასებას აძლევენ აგრეთვე შ. გოცირიძის „ბახტრიონის გმირებს“ და გრ. ბერძენიშვილის— „გული ხელის გულზე“. „ბახტრიონის გმირები“ წარმოადგენს გმირულ ეპოპეის. ავტორი ორიგინალურად აქვს გადაწყვეტილი მთელი რიგი სიტუაციები. კარგი იქნება, თუ თეატრის კოლექტივი ამ სპექტაკლს უჩვენებს თბილისელ მაყურებელსაც.

რაც შეეხება პიესას „გული ხელის გულზე“, — სწერს მ. კახიძე,— იგი ეხება თანამედროვეობის საჭირობორტო საკითხს. ავტორი ამ პიესით იბრძვის მეშინაობის წინააღმდეგ და გვიხატავს ქალს, რომელიც ცდილობს თავისი ადგილი მონახოს ცხოვრებაში.

შემდეგი ბრიგადა მუსიკის მკოდნის ან. წულუკიძის, რეჟისორ მ. ვახნიანსკისა და ნ. კველიშვილის შემადგენლობით მივლინებული იქნა მახარაძისა და ბათუმის სახელმწიფო თეატრებში. მათ მახარაძეში ნახეს „მოძღვარი“, „ლალი კეცხოველი“ და ა. აფშილავას „ვიდრე ცოცხალ ვართ“, ხოლო ბათუმში ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რანეტის „გზა აბნეული შვილი“ და „ერთხელ გაზაფხულზე“. ბრიგადის წევრებზე მეტად კარგი შთაბეჭდილება დატოვა სპექტაკლმა „მოძღვარი“. ყაზბეგის ეს შესანიშნავი ქმნილება რეჟისორის მიერ კარგად არის განხორციელებული. მაღალ დონეზეა აგრეთვე მსახიობთა შესრულება. რაც შეეხება სპექტაკლს „ვიდრე ცოცხალ ვართ“ იგი თანამედროვე თემაზეა დაწერილი— გმობს ომსა და ომის გამოწვევებს და მოუწოდებს მშვიდობას. მიუხედავად იმისა, — წერენ ბრიგადის წევრები, — რომ პიესის ავტორს ჭარბად აქვს გამოყენებული მელიოდრამისათვის დამახასიათებელი ხერხები, არის ნაკლებ მოტივირებული და ნაკლებ დამაჯერებელი ადგილებიც, რეჟისორ ო. თალაკვაძის დიდი შრომის შე-

დეგად სპექტაკლი მაყურებელთა მოწონებით იმსახურებს.

ბრიგადის წევრებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ბათუმის თეატრის სპექტაკლმა — „ნე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, (რეჟ. შ. ინასარიძე) რომელიც კარგად მიიღო ბათუმელმა მაყურებელმა.


24 თებერვალს სტალინირის თეატრის ქართული კოლექტივის მორიგი პრემიერა მიხ. მრეწლიშვილის „ხარატანთ კერა“ ინახულეს საზოგადოების ბრიგადის წევრებმა პოეტ-დრამატურგ ალიო ადამიას და თეატრმკოდნის ალ. შალუტაშვილის შემადგენლობით. პიესა განახორციელეს რესპ. სახალხო არტიტმა პ. ფრანგიშვილმა. სპექტაკლმა „ხარატანთ კერამ“ ბრიგადის წევრებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. პიესა „ხარატანთ კერა“.— სწერენ ბრიგადის წევრები,— სტალინირის სახელმწიფო თეატრის ქართული კოლექტივის ერთერთი საუკეთესო სპექტაკლია მიმდინარე წლის სეზონში. სპექტაკლი აქტიურად ჟღერს დღესაც, რადგან იგი მაყურებლებს მოუწოდებს შრომისაკენ.

სახალხოთ ეატრების რეპერტუარიდან პირველ კვარტალში განხილულ იქნა ველისციხის სახალხო თეატრის სპექტაკლი ს. მთავარაძის „უმაღური“. პიესის დედა-აზრი, — წერს ბრიგადის წევრი ხელ. თამს. მოლვაწი მიხ. ჩიბინაშვილი, — რომ მუქთახობობით არ შეიძლება აღამიანმა იცხოვროს ჩვენს დროში, კარგად არის მიტანილი მაყურებელამდე.

გარდა ამისა საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ საქართველოში სამჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით პირველ კვარტალში მთელ რიგ თეატრებში ჩაატარა ლექცია— მოხსენებები. ასე მაგალითოდ: ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის კოლექტივისა და კულტსახლის თვითმოქმედ წრეში მწერალმა ელიზბარ ზედგენიძემ წაიკითხა მოხსენებები: „ქართული სამჭოთა დრამატურგია 40 წლის მანძილზე“, ამავე თემაზე სტალინირის თეატრის ქართულ კოლექტივში მოხსენება წაიკითხა ალ. ადამიამ, თემაზე: „სამჭოთა ხელოვნება 40 წლის მანძილზე“ — ალ. შალუტაშვილმა (სტალინირის თეატრში). „თეატრის სამხატვრო-სადრამო ნაწილის როლი სპექტაკლის შემქმნაში“ რეისორმა მ. ვახნიანსკიმ (ქუთაისის თეატრში) „საქ. თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა და მისი ამოცანები“ — ნ. კველიშვილმა (მახარაძის თეატრი) და სხვ. ამავე დროს საზოგადოება არ იფიწყებს

კულტურისა და სახალხო უნივერსიტეტებს.  
ასე, მაგ. რუსთავის კულტურის უნივერსი-  
ტეტში საქ. თეატრალურმა საზოგადოებამ  
ჩაატარა ლექციათა ციკლი შემდეგ თემებზე:  
„ქართული თეატრის განვითარების ძირითა-  
დი ეტაპები“; მომხს. ხელოვნ. დამს. მოღვა-  
წე, პროფ. აკ. ფალავა, „მოგზაურობა იერუ-  
სალიმში და სიახლენი რუსთაველის ბიოგრა-

ფიაში“ (მომხს. პოეტი—აკად. ი. აბაშიძე),  
„ფორმისა და შინაარსის დიალექტიკური  
ერთიანობა საბჭოთა ხელოვნებაში“—მომხს.  
ფილოლოგიურ მეცნ. კანდიდატი გ. ციცი-  
შვილი, „ქართული საბჭოთა ლიტერატურა  
40 წლის მანძილზე“—მომხს. ბ. ჟღენტე და-  
სხვ.



# ს ა რ ჩ ე ვ ი

მეტი ყურადღება თეატრის სამხატვრო სადადგმო ნაწილს . . . . .	83-3
--	------

## კონფერენციები, დისკუბები

სამხატვრო-სადადგმო დარგის მუწაკთა კონფერენცია სემინარი . . . . .	5
დისკუტი — კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ . . . . .	9
ერთი დღე თბილისის თეატრებში . . . . .	13
მსახიობის ოსტატობისა და რეჟისორის სექციისში . . . . .	18

## სახელმწიფო და სახალხო თეატრებში

„ქართლის ჩირაღდნები“ სოხუმის თეატრში . . . . .	20
ამიერკავკასიის რკინიგზელთა სახლის სახალხო თეატრი . . . . .	22

## საიუბილეო საღამოები

თამარ ჭავჭავაძის საიუბილეო საღამო . . . . .	24
საქართველოს ცეკვის დამსახურებული ანსამბლის საიუბილეო საღამო . . . . .	25
ვაჰრამ ეხშატინანის შემოქმედებითი საღამო . . . . .	25
ქრონიკა . . . . .	26



## Больше внимания художественно-постановочной части театра

В статье дается краткий обзор развития художественно-постановочного дела в грузинском театре и определены задачи ху-

дожественно-постановочной части в процессе создания спектакля.

## Конференция-семинар работников художественно-постановочной части

Семинар был проведен в январе-феврале 1961 года: Он ставил своей задачей—ознакомить слушателей с вопросами творческого-производственного процесса в театре. Для проведения занятий из Москвы были приглашены лектора-специалисты—технологи театрального производства—В. В. Шведу-

бович, Г. А. Заявляя, А. Б. Матвеев, М. Т. Богомолова. Лекции были богато иллюстрированы образцами достижений техники театрального производства. Работа семинара признана полезной и продуктивной.

## Разбор спектакля драматического театра им. Марджанишвили „Я, бабушка, Илико и Илларион“

Диспут состоялся 9 февраля 1961 г. Докладчик кандидат филологических наук Г. Цицишвили говорил о достоинствах произведения Н. Думбадзе, о недостатках его сценической переработки и о спектак-

ле, который достоин высокой оценки. В прениях по докладу приняли участие Г. Маргвелашвили, П. Берадзе, В. Замбахидзе, Н. Швангирадзе.

## Один день в театрах Тбилиси

Секция критики и театроведения осуществила традиционное мероприятие Театрального общества Грузии—один день в театрах Тбилиси. Мероприятие это ставит целью выяснить насколько наши театры сохраняют первозданную форму своих спектаклей, каков творческий и технический уровень рядового спектакля в тбилисских театрах. День 25 Марта 1961 года был избран для рейда. На следующий день секция устро-

ила обсуждение результатов рейда по всем театрам города. В обсуждении приняли участие—М. Гицмкрели, В. Кикнадзе, Н. Гурабанидзе, Н. Шалуташвили, С. Авчиан, Н. Элиашвили, Н. Урушадзе, Л. Догонадзе, Е. Гелдиашвили, Л. Хуцишвили, С. Цагарейшвили, М. Вахнянский, С. заключительным словом выступил председатель секции критики и театроведение Д. Джanelидзе.

## В секции актерского мастерства и режиссуры

Секция (руковод. проф. А. Пагава) и дом работников искусств организовали две весьма важные лекции для изучающих актерское искусство акад. А. Бочориншвили об удовлетворении эстетических чувств, Проф. Р. Натадзе о психологических основах перевоплощения. Обе лекции

вызвали большой интерес среди слушателей.

В ближайшее время секция организует лекцию психолога А. Бочориншвили и театроведа Н. Урушадзе об образе бабушки Ольги в исполнении нар. арт. С. Такашвили в спектакле „Я, бабушка, Илико и Илларион“.

Сорокалетие установления советской власти в Грузии Сухумский театр отметил постановкой пьесы В. Канделани „Огни Картли“ (постановка народного артиста республики В. П. Купिताшвили). Театральное общество Грузии направило

в Сухуми для оценки спектакля бригаду, в составе театроведа В. Кикнадзе, режиссера Ш. Килосанидзе и актеров Б. Кобахидзе и Гур. Сагарадзе. Члены бригады поделились своими впечатлениями с участниками спектакля.

### Театр при Доме железнодорожников Закавказья

Театральное Общество Грузии большое внимание уделяет делу укрепления народных театров республики. При доме железнодорожников в Тбилиси существует народный театр со студией для подготовки сценических кадров из рабочих без отрыва от производства.

За последние два года театр показал свой творческий рост. В последнее время он осуществил постановку пьесы „Очаг Харатели“ М. Мрелишвили (постановщик молодой режиссер Г. Картвелишвили). Театральная общественность признала его одним из лучших спектаклей текущего сезона.

### Юбилейные вечера

23 января 1961 г. в театре им. Руста\* вели состоялся юбилейный вечер, посвященный 60-летию со дня рождения и 40-летию творческой деятельности народного артиста республики Тамары Чавчавадзе. С подробным докладом о жизни и творчестве актрисы выступил критик В. Жгенти.

22 января 1961 г. в Гос. театре оперы и балета им. З. Палиашвили состоялся юбилейный вечер, посвященный 15-летию заслуженного ансамбля народного танца

Грузии под руководством И. Сухишвили и Н. Рамишвили. С докладом о работе ансамбля выступил проф. П. Хучуа.

31 января 1961 г. в армянском театре им. Шаумяна состоялся творческий вечер, посвященный 50-летию со дня рождения и 25-летию сценической деятельности актера этого театра Ваграма Эхшатыана. Писатель С. Аветян выступил с докладом о творчестве актера.

### Х р о н и к а

В разделе хроники подробно перечисляются проведенные за первый квартал 1961 года мероприятия Театрального Общества Грузии. Здесь дан краткий отчет специальных творческих бригад, побывавших в театрах различных городов республики (Кутаиси, Телави, Махарадзе, Батуми,

Сталинири и др.). Кроме того Общество провело ряд лекций и докладов в ряде театров республики в связи с 40-летием установления Советской власти в Грузии. В домах культуры и народных университетах прочитан цикл лекций по различным вопросам культуры и искусства.



## О Г Л А В Л Е Н И Е

Большее внимания художественно-постановочной части театра . . . . .	стр. 3
---	--------

### Конференции, диспуты

Конференция-семинар работников художественно-постановочной части . . . . .	5
Разбор спектакля драматического театра им. Марджанишвили „Я, бабушка, Илико и Илларион“ . . . . .	9
Один день в театрах Тбилиси . . . . .	13
В секции актерского мастерства и режиссуры . . . . .	18

### В государственных и народных театрах

„Огни Каргли“ В. Канделаки в Сухумском театре . . . . .	20
Театр при Доме железнодорожников Закавказья . . . . .	22

### Юбилейные вечера

Юбилейный вечер Народной артистки Грузинской ССР Тамары Чавчавадзе . . . . .	24
Юбилейный вечер заслуженного ансамбля народного танца Грузии . . . . .	25
Творческий вечер Ваграма Эхшатаяна . . . . .	25
Х р о н и к а . . . . .	26

На правах рукописи

Т. О. Г.

## В Е С Т Н И К

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1961

№ 2 (16)